სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ სკოლა მზად არის საგანგებო სიტუაციებში სკოლასა და სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო, გაუწიოს პირველდი დახმარება საჭიროებისამებრ. სკოლას მანდატური არ ჰყავს მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო (169 მოსწავლე), სკოლას ჰყავს ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადდა მანდატურის სამსაურის მიერ და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი, კამერები სკოლას არ აქვს, სკოლის დირექტორმა გააგზავნა წერილი,10.07.2023, სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით სათვალთვალო კამარების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, სადაც განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტური მიმართულებები და ღონისძიებები. სკოლაში გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, რომლის უფროსია სკოლის დირექტორი. შტაბის ვალდებულებაა: მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების შეფასება. დოკუმენტში გაწერილია შტაბის თითეული წევრის ვალდებულებები. სკოლაში დამტკიცებულია უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოების დაცვის ერთგვარ სახელმძღვანელოს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია რა მიზნების შესრულებას ემსახურება და რა ფორმებით ხდება სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების სტენდი, ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები პირველ და მეორე სართულებზე. სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში გამოყოფილია მეექვსე პუნქტი, რომელშიც მოცემულია ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ჯგუფის უფროსის ამოცანები მშვიდობიანი და ექსტრემელური ვითარების განვითარებისას, თუმცა გეგმა შეთანხმებული არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით 10.07.2023 № 1976840.სკოლამ ბრძანების № 22 24.02.2023 საფუძველზე გაიარა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება 28.02.2023 ში, მიიღო სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა №142, რომლითაც სკოლას განესაზღვრა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისთვის ვადები 25.12.2023 მდე, მიწერილობაში მოცემულია აუცილებლად შესასრულებელი 13 პუნქტი, რომელთა შესრულებასაც სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს. სკოლამ გაიარა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლითაც სკოლას განესაზღვრა, 13 პუნქტიანი,

გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისთვის ვადები, რომელთა შესრულებასაც სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს.შესაბამისობის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 4 აგვისტოსსაგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები. სკოლას ჰყავს ორი დარაჯი და სართულის მორიგეები, მასწავლებელები. სკოლაში 2022 წლის ნოემბრის თვიდან კონკურსის წესით შერჩეული იქნა სკოლის ექთანი. სათანადოდაა, მოწყობილი კაბინეტი, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლა უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112-ს და იძახებს სასწარაფო დახმარებას. სკოლა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისათვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. სკოლაში უზრუნველყოფილია გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლი. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეთათვის, მოწესრიგებულია რესურსოთახი.

სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ და აქვს რეაბილიტაციის პროცესის, ჩატარებული სამუშაოების ამსახველი წიგნი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობის, გათბობის სისტემებისა და ა. შ. აღწერა და დეტალები, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია გამართული 5 ტონიანი წყლის რეზერვუარის სისტემით, რისი საშუალებითაც წყლის მიწოდების პრობლემის დროს სკოლა გამოიყენებს რეზერვუარის მარაგებს, როგორც წყლის მიწოდების ასევე ხანძარსაშიში მდგომარეობის დროს. წარმოდგენილია შენობის სრული მახასიათებლები, არაა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, თუმცა გაგზავნილია წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში 07.07.2023 ში. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში განაცხადა რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

**ინდიკატორი 3.4.1.1.სტანდარტს მეტწილად შეესაბამება**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლაში შესასვლელ კართან სპეციალურად გამოყოფილი პირი აკონტროლებს შემოსულ პირებს, ავსებს ვიზიტორთა წიგნს, რომელშიც შეაქვს სკოლაში მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესვლისა და გასვლის დრო, მიზანი, მხოლოდ შესაბამისი ნებართვის (დამრიგებელი, დირექტორი) არსებობისას უშვებს. სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე ხორციელდება რეაგირება. სკოლის

შინაგანაწესით განსაზღვრულია დარღვევების სახეები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები/დისციპლინარული სახდელები.

**ინდიკატორი 3.4.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობების განაწილება. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, პროექტებს, რომლებიც მოსწავლის ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებლების კლასის საათის ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაა ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის თემატიკა.

**ინდიკატორი 3.4.1.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლაში სტანდარტის შესაბამისად დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. ხელსაბანების თავზე გამოკრულია ხელის დაბანის წესი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, დერეფნებში დგას სადეზინფექციო ხსანარის დისპენსერები. ტუალეტები მოწესრიგებულია.

**ინდიკატორი 3.4.1.4.სტანდარტთან შესაბამისია**

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, სკოლას წარმოდგენილი აქვს ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ.

**ინდიკატორი 3.4.1.5.სტანდარტთან შესაბამისია**

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ.



------------------------
------------------------

**ინდიკატორი 3.4.1.6.სტანდარტთან შესაბამისია**

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას ახდენს იმიტაციური აქტივობებით, სკოლამ წარმოადგინა სასწავლო განგაშის და სკოლის ყველა წევრის, ევაკუაციის გეგმის მიხედვით, ევაკუაციის პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მიერ ხელმოწერილი. ამ პროცესს მეთვალყურეობას უწევენ სკოლის უსაფრთოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი და საგანგებო შტაბის წევრები

**ინდიკატორი 3.4.1.7.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძ 2-28 16.03.2023 პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- სსიპ-კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხდველობის მიწერილობა №142 28.02.2023 და ობიექტის შემოწმების საფუძველი ბრძ №22 24.02.2023.
- სსიპ-სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა
- სახანძრო უსაფრთხოების წესების ინსტრუქტაჟი და ევაკუირება
- 2-18 17.03.2022 „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“
- წერილი ლევან სამარაულის ექპერტიზის ბიუროში შენობის მდგრადობის დადგენასთან დკავშირებით ათასწლეულის გამოწვევის ფონდის რეაბილიტაციის პროცესის, ჩატარებული სამუშაოების ამსახველი წიგნი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*



------------------------
------------------------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შეფასებასაც ითვალისწინებს. სველი წერტილი განაწილებულია ყველა სართულზე. როგორც სკოლის თვითშეფასებაშია აღწერილი, ასევე გეგმის შესწავლისა და შენობის სართულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული 2017 წელს, არის 2 სართულიანი, გამართული ინფრასტრუქტურით. არის სპორტდარბაზი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სკოლას აქვს გათბობა, ელექტროენერგიის უწყვეტი მოწოდება, სკოლაში შექნილია ინკლუზიური გარემო. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, ექიმის კაბინეტი. ცალკე სააქტო დარბაზი სკოლას არ აქვს და ყველა ღონისძიება ტარდება სკოლის ფოიეში. ცალკეა სველი წერტილები პედაგოგებისათვის. პირველ სართულზე განთავსებულია სპორტ დარბაზი, ერთი საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა. მეორე სართულზე არის სამასწავლებლო, დირექტორის, ბუღალტრის და საქმისმწარმოებლის კაბინეტები, სკოლაში სწავლობს 169 მოსწავლე, სკოლა ერთცვლიანია.სკოლას შეუძლია მიიღოს 200 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი კეთილმოწყობილია და უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლის და ეზოს ფართი ერთად არის 5639 კვ.მ. აქედან სკოლის ფართია 1229.82 კვ.მ. სკოლას აქვს დამატებითი ფართი, სტადიონი, რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება 12429.00 კვ.მ. სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის მატერიალური რესურსები. სკოლას აქვს 200 კომპლექტი (მერხი და სკამი). დაფა - 12 ცალი. თითოეულ საკლასო ოთახში დამონტაჟებულია 1 დაფა. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია კარადები საკლასო ინვენტარის შესანახად.

**ინდიკატორი 3.5.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

სკოლას აქვს 15 კომპიუტერი, 12 ლეპტოპი, 4 პროექტორი, 2 პრინტერი, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები სასწავლო პროცესში. სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია, ბუნებრივი განათებით, სკოლის ბიბლიოთეკით შეუძლიათ სარგებლობა შეუზღუდავად, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აზრები, ასევე საპირფარეშოების ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს. სკოლას აქვს ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინვენტარით, ხელსაწყოებით, გამწოვით. ლაბორატორია კეთილმოწყობილია „მილენიუმის" პროექტის ფარგლებში. სკოლის ბიბლიოთეკა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამკითხველო მაგიდები და სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება.

**ინდიკატორი 3.5.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის შესასვლელში სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი პანდუსი, აგრეთვე პირველ სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, საჭიროებიდან გამომდინარე პერიოდულად ხდება სასწავლო მასალებით განახლება. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სანიტარული კვანძები. საგანმანათლებლო რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის.

**ინდიკატორი 3.5.1.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებულია სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ეხმარება მოსწავლეთა განვითარებას. სპორტული დარბაზი ხელს უწყობს მოსწავლეების ფიზიკურ განვითარებას. მუდმივად იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები.

**ინდიკატორი 3.5.1.4.სტანდარტთან შესაბამისია**

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო



------------------------
------------------------

რესურსებით. გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, აგრეთვე დამატებითი ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია კურიკულუმების განხორციელებისათვის.

**ინდიკატორი 3.5.1.5.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობა-ნაგებობის სქემა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი
- ინვენტარიზაციის წიგნი;
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დიკუმენტაცია;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები;
- კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო უზრუნველყოფის დოკუმენტაცია

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლას აქვს 15 კომპიუტერი, 12 ლეპტოპი, 4 პროექტორი, რომლებსაც მოსწავლეები და თანამშრომლები თავისუფლად

იყენებენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი. სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა). სკოლას აქვს საკომუნიკაციო სივრცე (ინტერნეტზე წვდომა, სოციალური ქსელი და სხვა).

**ინდიკატორი 3.6.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვი ს სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში აქვთ კომპიუტერების ოთახი, მუდმივ ინტერნეტზე წვდომით. სკოლის თანამშრომლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ აღნიშნული კომპიუტერებით სარგებლობა თვითგანვითარებისთვის. პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები იყენებენ (აწარმოებენ/ეცნობიან) ელ. ჟურნალს. სკოლას აქვს ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალა, შექმნილი რესურსების ლინკები, ლაბორატორიებზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები.

**ინდიკატორი 3.6.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელთა ანგარიშები ლაბორატორიის გამოყენებაზე
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის სკოლის 2022-2029 სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ.
- ელექტრონული ჟურნალი
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში საქმისწარმოება ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული ელექტრონული eflow სისტემით მიმდინარეობს, Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პესონალური მონაცემები. ასევე სკოლას აქვს ელექტრონული ვებ მაილი kavtiskhevi@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის ბრძანებაში (ბრ. N2 – 11 16.02.2023) საქმისწარმოების დებულების დამტკიცების შესახებ. საფუძველი „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული განცხადებების/წერილების ჟურნალს მატერიალური სახითაც. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. სარეგისტრაციო ჟურნალი ორი სახისაა: ელექტრონული და მატერიალური.



-------------------------
-------------------------

ბრძანების დანართში, საქმისწარმოების დებულებაში, მოცემულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სასკოლო დოკუმენტაციის შექმნის, დამუშავების და შენახვის წესი; სკოლის მოსწავლეების და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოების წესი.

**ინდიკატორი 3.6.2.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლაში საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით და მატერიალური სახითაც, ჟურნალებში. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. საქმისმწარმოებლის ოთახში განთავსებულია 1 კომპიუტერი და 1 პრინტერი(კომბაინი).

**ინდიკატორი 3.6.2.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,სადაც სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებით. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორი გამოსცემ ბრძანებას „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად და დროულად განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“. შესაბამისად აღნიშნულ სისტემაში ადმინისტრატორის ფუნქციით დირექტორთან ერთად საქმეთა მმართველი და სკოლის ფინანსური ნაწილის შემოწმებას ახდენს სკოლის ბუღალტერი.

**ინდიკატორი 3.6.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. საგანმანათლებლო



------------------------
------------------------

საქმიანობაზე კონტროლის ნაწილში სკოლა ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მოთხოვნის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს კონტროლის ძირითადი მექანიზმი არის ყოველი წლის 10 დეკემბერს დირექტორის ანგარიშის მოსმენა, სადაც დირექტორი წარადგენს წლიურ ანგარიშს სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესთან დაკავშირებით ამომწურავად. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და ეფექტურ კომუნიკაციას საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლის საქმიანობისა და განხორციელებული პროგრამების შესახებ.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შემოსული წერილებზე რეაგირების, მოსწავლეთა მობილობის განაცხადებზე რეაგირების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ წერილები წაკითხულია და სტატუსი (გავეცანი, შევასრულე) მინიჭებული აქვს ადრესატის მიერ, რეაგირება/პასუხი განხორციელებულია ვადების დაცვით, რაც ეფექტურ უკუკავშირის და თანამშრომლობის დამადასტურებელია.

**ინდიკატორი 3.6.2.4.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება (ბრ. N2 – 11 16.02.2023) საქმისწარმოების დებულების დამტკიცების შესახებ.
- ოქმები 10 დეკემბრის ანგარიშების შესახებ

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებგვერდი, სკოლა აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს, უზრუნველყოფილყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და ეფექტურ კომუნიკაციას სხვა საკომუნიკაციო არხების (Facebook; Messenger; Teams) საშუალებით;სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში განაცხადა,რომ 2023 წლის 31 ივლისიდან სკოლას აქვს ვებ-გვერდი და მიმდინარეობს მისი გააქტიურება,რომელიც დასრულდება 2023 წლის 15 სექტემბერს.

**ინდიკატორი 3.6.3.1.სტანდარტს მეტწილად შეესაბამება**

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მართებული ინფორმაციების გავრცელებას. სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირები, რომლებიც პასუხიმგებელნი არიან სკოლის სოცილურ გვერდე განათავსონ საჭირო ინფორმაცია.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-88 23.08.2023 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

**ინდიკატორი 3.6.3.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი

საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა ახდენს რეაგირებას სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შემოსულ უკუკავშირზე, რომელიც ეხმრება სკოლას დაგეგმოს რეაგირების გზები მიღებულ უკუკავშირზე, რათა გააუმჯობესოს საქმიანობის ხარისხი.

**ინდიკატორი 3.6.3.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას არ გააჩნია ვებ-გვერდი, თუმცა განაცხადი გაგზავნილია, ვებ-გვერდის შექმნასთან დაკავშირებით.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში განაცხადა,რომ სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულად განთავსდება 2023 წლის 15 სექტემბრამდე

**ინდიკატორი 3.6.3.4.სტანდარტს შეესაბამება**

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას არ გააჩნია, ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ყველა ტიპის ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა ქსელის მეშვეობით,

მესენჯერი, FB - გვერდი, Teams და ელექტრონული ფოსტით.სკოლამ შესაბამისობის ფარგლებში განაცხადა,რომ სკოლას 2023 წლის 31 ივლისიდან აქვს ვებ-გვერდი და მიმდინარეობს მასზე ინფორმაციის ასახვა ,პროცესი 2023 წლის 15 სექტემბერს დასრულდება.

**ინდიკატორი 3.6.3.5.სტანდარტთან მეტწილ შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი FB - კავთისხევის საჯარო სკოლა, Teams, მესენჯერი
- ელექტრონული ფოსტა - kavtiskhevi@mes.gov.ge
- Teams -ის ფოტოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;



-------------------------
-------------------------

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს შემოსავალს ეკონომიკური შემოსავლებიდან. გაიჯარებული ფართიდან, სპორტ დარბაზიდან. შემოსული თანხა ხმარდება სხვადსხვა საჭიროებებს. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. ვიზიტის დროს, მატერიალური რესურსების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ფინანსები უზრუნველყოფენ კომუნალურ ხარჯებს: ელექტროენერგიის, წყლის მოწოდების, დასუფთავების. თუმცა, სკოლა მცირეკონტინგენტიანია და ზამთრის თვეებში ვაუჩერული დაფინანსება არ ყოფნის ცენტრალური გათბობით უზრუნველსაყოფად. გაზის გადასახადისთვის დამატებითი ფინანსების გამოყოფაზე სკოლა მიმართვს მეცნიერებისა და განათლების სამინისტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს. სკოლის დამატებითი ხარჯები უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მხრიდან. ეს ფაქტორი სკოლის სასწავლო პროცესზე გავლენას არ ახდენს. დირექტორის ბრძანებით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა. ბუღალტერი, მასვე ევალება სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება და ასახვა იქვე. საპროგნოზო ბიუჯეტი მოცემულია სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების 2022-2029 წლის გეგმაში. წარმოდგენილი აქვთ სპორტდარბაზის იჯარის დოკუმენტაცია.

**ინდიკატორი 3.7.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
სკოლის დირექტორი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს. ბიუჯეტში ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებები და პრიორიტეტები; სკოლის ბიუჯეტი განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ფინანსების განკარგვა მკაცრად კონტროლდება პირველ რიგში სამეურვეო საბჭოსა და შემდეგ დირექტორის მიერ. ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, რომელსაც შემდგომში განკარგავს სკოლა. დამტკიცებული ჩარჩოების შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსების მართვა ხდება ეფექტიანად სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი ყოველთვური



------------------------
------------------------

ანგარიში და საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც საჭიროებისამებრ შედის ცვლილებები.

**ინდიკატორი 3.7.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის სკოლის2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.
- ფინანსური ანგარიშგების ფორმა 2022 წლის
- 10 დეკემბრის ანგარიშის ოქმი 2022
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2022-2029
- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



------------------------
------------------------

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესით.ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია.

**ინდიკატორი4.1.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სკოლაში  მოსწავლის უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.საკლასო ოთახებსა და დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და ქცევის წესები.დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის მათი უფლებების გაცნობა. მოსწავლის უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. ყველა შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომელიც მიმართულია მოსწავლეების ინტერესების დაცვისკენ საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

**ინდიკატორი4.1.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.მოსწავლესთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო და გამჭირვალე ხელშეკრულება.

**ინდიკატორი4.1.1.3.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი
ბავშვთა მიმართ ძალადობის შედა ინსტრუქცია

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა,საფეხურის დაძლევა,მობილობა,სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით.სკოლის მიერ არ არის შემუშავებული რაიმე სახის დოკუმენტი.



-------------------------
-------------------------

**ინდიკატორი4.1.2.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. სკოლა იცავს განათლებისა და მეცნიერების2017 წლის 11 იანვრის ბრძანება N 04/ნ-ით განსაზღვრულ მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის ყველა პროცედურას.პირველ კლასში მიღება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვის შემთხვევაში,სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ადგენს ინდ. გეგმას.

**ინდიკატორი4.1.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სკოლაში სპორტული დარბაზი გაიჯარებულია,სადაც შაბათ-კვირას ფუნქციონირებს ცეკვის ფასიანი წრე. სხვა რაიმე სახის დამატებითი ფასიანი სერვისები ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებას.

**ინდიკატორი4.1.1.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმ აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.სკოლაში ხორციელდება საინტერესო პროექტები.ამ პროექტების შედეგები იგრძნობა სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში.

**ინდიკატორი4.1.1.4.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



------------------------

------------------------

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის რაიმე სახის დოკუმენტი,მაგრამ ადგილზე ვიზიტის შედეგად წარმოადგინა ორი სახის ფორმა,რომელიც ივსება ახალი მოსწავლის გადმოსვლისას სკოლაში,ხოლო მეორე სსსმ მოსწავლის შემთხვევაში და

მოიცავს კითხვარს მოსწავლის საჭიროებების,შესაძლებლობების და ინტერესების შესახებ. სასკოლო გარემოს დათვალიერების და საკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შდეგად გამოვლინდა,რომ მოსწავლეებს შორის არის მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთობა, მკაცრად კონტროლდება ბულინგისა და ნებისმიერი არასასურველი დამოკიდებულების გამოვლინება, ამასთან, მოსწავლეებთან დამრიგებლებს ინტენსიურად აქვთ კომუნიკაცია პოზიტიური და მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობასთან დაკავშირებიათ.საკოლო გარემოსათან მოსწავლეების ადაპტაციის პროცესი დამრიგებლების მეშვეობით მიმდინარეობს,კერძოდ, როგორც პირველი კლასელის ისე გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში,კლასის დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, საპირფარეშოები). ახალი სოციალური გარემო, თანატოლთა ახალი საზოგადოება, ახალი მეგობრები, მასწავლებლები მათთვის დამრიგებლის დახმარებით ხდება

**ინდიკატორი4.2.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ტრანზაქციის ფორმა. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ ახალ სასკოლო გარემოში ტრანზიცია (გადასვლა-შესვლა) მიმდინარეობს დამრიგებელთა და თითოეული პედაგოგის ჩართულობით. სასკოლო საზოგადოების წევრები(დირექცია-ადმინისტრაცია, დამრიგებელი, თანაკლასელები) ხელს უწყობენ კომფორტული, კეთილგანწყობილი, მეგობრული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. მიმდინარეობს სასწავლო პროგრამის და ასათვისებელი მასალის მორგება კლასის და მოსწავლეთა განვითარების ტემპთან, უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით ,ხორციელდება ყველა მოსწავლის ინკლუზია სასწავლო სივრცეში.

**ინდიკატორი4.2.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.მოსწავლეთა ტრანზაქციის ფორმები



------------------------
------------------------

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმი კასპის ერთ-ერთ კოლეჯთან,რომელიც ამზადებს „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“სპეციალისტებს.გარდა ამისა გასაუბრებისას დადგინდა რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხადასხა საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

**ინდიკატორი4.2.2.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს განახლებულ ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აძლევს რეკომენდაციას აირჩიონ პროფესია საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კლასის დამრიგებლები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს პროფესიების შესახებ. სკოლა აორგანიზებს საგანმანათლებლო ვიზიტებს სახვადასხვა დაწესებულებებში და ადგილზეც ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთა შეხვედრები, რათა მოსწავლეები გაეცნონ მრავალფეროვან ინფორმაციას გარკვეული პროფესიების შესახებ.

**ინდიკატორი4.2.2.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.ადგილზე სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ სკოლა აგროვებს მონაცემებს კურსდამთავრებულთა კარიერული მიღწევების შესახებ.აანალიზებს ამ შედეგებს და მასზე დაყდნობით შეაქვს ცვლილებები სამომავლო სამოქმედო გეგმაში.

**ინდიკატორი4.2.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე. რომელთაგან ერთი სსსმ მოსწავლე მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასდა 2023 წლის იანვარში. მეორე შშმ პირია, რომელიც მეშვიდე კლასის მოსწავლეა და იმყოფება შინსწავლებაზე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლის დასკვნის შესაბამისად მისთვის ისგ ჯგუფი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის საჭიროებები, მასთან მუშაობის პრინციპები და ეს იძლევა შედეგზე ორიენტირებულ და ეფექტური მუშაობის საშუალებას.ადგილზე ვიზიტისას გასაუბრება შედგა სპეც მასწავლებელთან,რომელიც თითოეულ სსსმ მოსწავლესთან მშობლის და საგნის მასწავლებლების ჩართულობით აღწევს სასურველ შედეგს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა

ამტკიცებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია ის მიზნები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში (ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა).შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მიმდინარეობს პროცესის სრული მონიტორინგი და ამ შედეგების გათვალისწინება

**ინდიკატორი4.2.3.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. სსსმ მოსწავლეების წინსვლა და მხარდაჭერა მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და თანამშრომლობით. სასწავლო წლის დასაწყისში და სწავლების პროცესში ინდივიდუალურად საჭიროებისამებრ სპეციალური მასწავლებელისაგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი საჭირო მასალით, წიგნებით, სამაგიდო თამაშებით, ფაზლებით, საკანცელარიო ნივთებით, რაც მოსწავლეთა სწავლების ხარისხს უწყობს ხელს და ხდის მეტად ეფექტურს. სკოლის პირველი სართულის საპირფარეშოები ადაპტირებულია. (რესურს ოთახისა და ადაპტირებული გარემოს ფოტო-მასალა)

**ინდიკატორი4.2.3.2.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინკლუზიური განათლების გეგმა

სსმ მოსწავლის ტარანზაქციის ფორმა

*4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი*



------------------------
------------------------

*(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შეთავაზებული აქვს მოსწავლეებისთვის ტრანსპორტირების სერვისი, რომელთა საცხოვრებელი ადგილი დაშორებულია სკოლიდან 2-7 კმ. რადიუსით (კავთისხევის კირქვის კარიერის დასახლება). კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია აღნიშნული მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით მგზავრობა. ამ სერვისით ამჟამად 6 მოსწავლე სარგებლობს.წინარეხიდან კი ტრანსპორტირებით სარგებლობს 5 მოსწავლე.

**ინდიკატორი4.2.4.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სოფელ წინარეხიდან, სადაც არ არის საშუალო საფეხური ხორციელდება 5 მოსწავლის ტრანსპორტირება. კავთისხევის საჯარო სკოლაში მათ ეძლევათ საშუალო საფეხურის დაძლევის საშუალება.

3.მოსწავლეთა ტრანსპორტირებით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესს. სკოლაში მოყვანას და სკოლიდან წაყვანას ახორციელებს ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი.

**ინდიკატორი4.2.4. 2.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი( დაწყებითი საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ , რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

**1. სახელმწიფო ენა**



-------------------------
-------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში მკაფიოდ იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი, სწორედ მასთან თანამშრომლობით ხდება აქტივობებისა და დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობაც საკმაოდ გამოხატულია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, კიდევ უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.

1. **მათემატიკა**სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში მკაფიოდ იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი, სწორედ მასთან თანამშრომლობით ხდება აქტივობებისა და დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება.

1. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ნათელია, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

1. **საინფორმაციო ტექნოლოგიები** - კოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. რაზეც სკოლა განაგრძობს მის დახვეწას, რათა 2023–2024 სასწავლო წლისათვის სრულყოფილი სახით იქნას დამტკიცებული. ასევე აღნიშნულ ინდიკატორს სკოლა ფარავს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოების შემუშავებისას, როდესაც განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების, საგანთა შორის ინტეგრაციის, სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინების, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს, ისევე როგორც მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული ტექნოლოგიური მიმართულების სასკოლო სასწავლო პროქტები.

1. **უცხოური ენები** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასში წარმოდგენილია კურიკულუმი აგების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს თუ როგორ, რაზე დარყდნობით ხდება კურიკულუმის აგება.

**1.ესთეტიკური აღზრდა** - 1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ისინი გამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად ადგენენ



-------------------------
-------------------------

მოსწავლისა და მშობლის ინტერესებს და მათი უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ ახალ აქტივობებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის ურთიერთობა აუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესებს და თანამშრომლობით კულტურას. მომავალში სკოლას აქვს მეტი მზაობა, საგაკვეთილო და კლასგარეშე/არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით, მოსწავლეებს შესთავაზოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, მეტად მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისები.

1. **ფიზიკური აღზრდა** - სკოლას წარმოდგენილია აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის თანახმად კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ყველა მასწავლებელი კათედრასთან შეთანხმებით ადგენს საგნობრივ გეგმას, რომლის შემუშავების პროცესში რთავენ მშობლებს, რაც ასახულია კათედრის და სადამრიგებლო ოქმებში.

**ინდიკატორი 2.1.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უშუალოდ უკავირდება კურიკულუმის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაგეგმვას და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. აქვე საუბარია იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

2. **სახელმწიფო ენა**



------------------------
------------------------

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან გასაუბრების გათვალისწინებით, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც.

**2. მათემატიკა**წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უშუალოდ უკავირდება კურიკულუმის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაგეგმვას და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. აქვე საუბარია იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

**2. საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

**2. საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კომპლექსური დავალებებში განსაზღვრულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალების შერჩევისას



------------------------
------------------------

გათვალისწინებულია ჩატარებული კომპლექსური დავალებების შესრულების ანალიზი „სოლო“ ტაქსონომიის მიხედვით. შესაბამისად, გამოვლენილია მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა, რის გამოც მისი შემდგომი დახვეწის საჭიროებას ხედავს სკოლა.

**2.უცხოური ენები** - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, გამომდინარე იქიდან, რომ ის შექმნილია თითოეული საგნის პედაგოგის მიერ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ დაადასტურა უცხოური ენის მასწავლებელთა გასაუბრებამაც.

**2.ესთეტიკური აღზრდა -** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც სკოლა ადგენს გამოკითხვის შედეგად.

2. **ფიზიკური აღზრდა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს.

**ინდიკატორი 2.1.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

3.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.



-------------------------
-------------------------

**3. სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. წარმოდგენილ I-VI კლასების კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზანები ნიმუშის სახით, რომ პირველადი ავტორიაციის განაცხადის მომენტში კათედრას ეჩვენებინა თავისი მზაობა, რამდენიმე მასწავლებელმა საუბრისას აღწერა განხორციელებული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ეტაპები და დანარჩენებმაც გამოხატეს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავებენ მსგავსი მეთოდოლოგიით შერჩეული შუალედური მიზნებით.

3. **მათემატიკა**სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმების შესწავლისას ნათელი გახდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;



-------------------------
-------------------------

**3. საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპიუტერული ტექნოლოგიის შესაბამისი მიმართულებები, ცნებები, თემები, კომპლექსური დავალებების იდეები, რესურსები და სხვა. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. მნიშვნელოვანია, რომ პროცესებში კანონის შესაბამისად მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შემუშავებულ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. პრაქტიკული განმოცდილების შესაბამისად, სკოლის მიერ დამტკიცებული მასალები აიტვირთება სკოლის ღრუბლოვან საცავში და ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი).

**3. უცხოური ენები** - აღნიშნული კრიტერიუმის მიმართულებით დოკუმენტებისა და ინტევიურების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ უცხოური ენების (კათედრა აერთიანებს პირველი და მეორე უცხოური ენის მასწავლებლებს) მასწავლებლები ერთობლივ გადაწყვეტილებებს იღებენ. სკოლის სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭო. დაწყებით საფეხურზე, ყველა კლასისათვის არის შექმნილი კურიკულუმი.

ესთეტიკური აღზრდა - 3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. ასევე მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მომდევნო საწავლო წლიდან სკოლას აქვს მზაობა იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით ჩაერთონ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის



------------------------
------------------------

შედეგად გამოკვეთონ მოსწავლეთა ინტერესები და გამოწვევები სწავლა სწავლების პროცესში. დაგეგმონ და განახორციელონ კომპლექსური დავალებები.

3. **ფიზიკური აღზრდა** - კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაშიც აქტიურადაა ჩართული დაწყებით საფეხურზე მომუშავე პედაგოგები და ფიზიკური არზრდისა და სპორტის კათედრის წევრები. ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. ყოველივე ეს დასტურდება კათედრის ოქმებით, ინტერვიუთი, სადაც გამოკვეთილია პედაგოგთა ინდივიდუალური ხედვები.
**ინდიკატორი 2.1.1.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

4.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, პორტალი ვებგვერდზე, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ყოველივე აღნიშნული კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების საშუალებას იძლევა.

4. **სახელმწიფო ენა**
*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე.* ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა

მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ იფნორმაცია სასკოლო კურიკულუმის, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ, თუმცა, სასკოლო კურიკულუმი ჯერჯერობით ვერ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივ, შემოქმედებით პროდუქტს, მაგრამ მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიურ ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

**4. მათემატიკა**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე.

**4. საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების კითხვარიც ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას ხშირად ხდება ხოლმე კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.

**4. საინფორმაციო ტექნოლოგიები** - საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება. სკოლა გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წელიდან ამ პროცესმა მიიღოს მასშტაბური ხასიათი. სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იყოს გაზიარებული ყოველი მასწავლებლის მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, რათა არ დარჩეს ეს გაზიარება კონკრეტული ჯგუფების არეალში.

**4. უცხოური ენები** - სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა საზოგადოებას (მშობლებს ) მუდმივად აწვდის სიახლეებს. გარდა მისა, მშობელს ეგზავნება მოსწავლის კომპლექსური დავალების ბარათი. აღნიშნუული ბარათის მაგ.ლითი, მასწავლებლებმა გააცნეს (გადმოუგზავნეს) ექსპერტთა ჯგუფს.

**4. ესთეტიკური აღზრდა** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ კათედრის შეხვედრებზე და ასევე სოციალური ქსელის გამოყენებით.

4. **ფიზიკური აღზრდა** - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოები ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარება ხდება როგორც კათედრის შეხვედრებზე, ასებე სოციალური ქსელის მეშვეობით.

**ინდიკატორი 2.1.1.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.კურიკულუმები

2.კათედრის სხდომის ოქმი N1

3.მშობელთა კრების ოქმები

4.სასკოლა სასწავლო გეგმა.

5.სტრატეგიული განვითარების გეგმა.



-------------------------
-------------------------

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(დაწყებითი საფეხური)

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასკოლო საწავლო გეგმის/ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების პროცესში - სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ასევე, წლიური პროგრამები / კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების მეშვეობით. სასწავლო თემა კი წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ, ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და საკითხების ურთიერთდკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი კი სწორედ მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურების თანამონაწილეობითი სასწავლო პროცესისკენ არის მიმართული.

**1.სახელმწიფო ენა**- დაწყებითი საფეხურის I - VI კლასების კურიკულუმის ჩარშოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. V-VI კლასებში შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა, თუმცა მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ აღნიშნული მიმართულებით. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ დაწყებით საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

**1.მათემატიკა**

სკოლის მათემატიკის ***დაწყებითი საფეხურის*** საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად მათ სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება ამ სკოლაში. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (უმჯობესია თუ გამოიკვეთება ქვეცნებებიც მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებშიც), ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, რომელიც მოვითხოვე როგორც დამატებითი დოკუმენტაცია და სკოლამ დროულად წარმოადგინა. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა.



------------------------
------------------------

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და თემის ინტერესები. კურიკულუმი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

**1.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებითი II, III, IV, V და VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩარჩო ცხრილებში სწორადაა შევსებული როგორც სავალდებულო ველები: ასევე არასავალდებულო ველები. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა საგანში გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში უწყვეტად ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებებით სწავლება.

**1.უცხო ენები -** სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთიხევის საჯარო სკოლაში პირველი უცხოური ენა არის ინგლისური. მეორე უცხოური ენა არის რუსული. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთიხევის საჯარო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დაგეგმილ თემატურ ბლოკებში არ არის ყველგან ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა, შესაბამისად გამოკვეთილად არ ჩანს, თუ როგორ ხდება მუშაობა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა - 1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი/ები და შეფასების რუბრიკები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული



------------------------
------------------------

პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მომავალში სკოლას აქვს მზაობა შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეთათვის. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობილი თემატიკის გათვალისწინებით. შესაბამისად პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას. გამოყენებული კომპლექსური დავალებები (შინაარსი და ფორმა) მოსწავლის ასაკისა და ინტერესის შესაბამისია (დაწყებით საფეხურზე ძირითადი ყურადრება ზეპირმეტყველების განვითარებას ექცევა). V და VI კლასების კურიკულუმში გაწერილი არ არის სამიზნე ცნება „კულტურათშორისი კომუნიკაცია", თუმცა მოცემული დავალებები, ამ სამიზნე ცნებას, მოიცავს. შესაბამისად მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, ასეთ შემთხვევაში, სამიზნე ცნებაც გაწერონ კურიკულუმში. **მეორე უცხოური ენა (რუსული) –** საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობილი თემატიკის გათვალისწინებით. შესაბამისად პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ინგლისური (პირველი უცხოური) ენის მსგავსად არ არის გაწერილ სამიზნე ცნება „კულტურათშორისი კომუნიკაცია", თუმცა მოცემული დავალებები, ამ სამზნეს ცნებას, მოიცავს. შესაბამისად მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, ასეთ შემთხვევაში, სამიზნე ცნებაც გაწერონ კურიკულუმში.

1. **ფიზიკური აღზრდა** - ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების

დანერგვის მიღწევაზე. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

**ინდიკატორი 2.1.2.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიაში და წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება გრძელვადიან მიზნებზე ( სამიზნე ცნებებზე და სტანდარტის შედეგებზე ) ორიენტირებით.

**2.სახელმწიფო ენა**- დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით, თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რომ აქტიურად მუშაობენ იმ მიმართულებით, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს.

**2.მათემატიკა**



-------------------------
-------------------------

სკოლის **დაწყებითი საფეხურის** წლიური კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. რეკომენდაცია გაიცა, რომ სასურველია დაემატოს მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში დამატებითი რესურსები, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის.
სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით (ბარათები მოგვიანებით, მოთხოვნის შემდეგ წარმოადგინა სკოლამ), სადაც გაწერილია მკვიდრი წარმოდგენებიც. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმები თითოეული საგნისთვის –რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. პედაგოგები გეგმავენ და განახორცილებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.



------------------------
------------------------

**2.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც კომპლექსური დავალებების საშუალებით ორიენტირდება ყველა მიმართულებასა და სამიზნე ცნებაზე. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია.

**2.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **პირველი (ინგლისური) ენის** საგნორბივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები: თემა, ძირითადი საკითხი / ქვეთემა, ძირითადი კონკტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების პირობა, სამიზნე ცნებები / ცნებები ქვესაკითხები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესრები დავალებაზე მუშაობისთვის. **მეორე უცხოური (რუსული)** ენის საგნორბივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები: თემა, ძირითადი საკითხი / ქვეთემა, ძირითადი კონკტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების პირობა, სამიზნე ცნებები / ცნებები ქვესაკითხები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესრები დავალებაზე მუშაობისთვის.

**2.ესთეტიკური აღზრდა -** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმები, მასში შემავალი კომპლექსური დავალებებით ორინეტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლად.

2. **ფიზიკური აღზრდა** - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსურ



------------------------
------------------------

დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. კომპლექსურ დავალებებში ნათლად ჩანს მკვიდრი წარმოდგენების დაკავშირება სამიზნე ცნებებთა. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

**ინდიკატორი 2.1.2.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ისგ ჯგუფის ოქმები და სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალსწინებულია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაცია.

**3.სახელმწიფო ენა**- სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია.

**3.მათემატიკა** (2.1.2.3-ისთვის)

კოლის სასწავლო პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ **დაწყებითი საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას;

კურიკულუმებში, როგორც აღვნიშნე შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მომზადოს.

ასევე სსსმ მოსწავლეებს სკოლა შესთავაზებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მათემატიკაში, ამის მზაობა ჩანს ნ.ქ.- ისთვის შედგენილ სხვა საგნის ისგ-ში.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას ამ დროისთვის აქვს მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლას აქვს შემუშვებული სანიმუშოდ შეფასების რუბრიკები და, მათი განცხადებით, სრულად მომავალში შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს.

**3.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ



------------------------
------------------------

მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც კათედრის შეხვედრის ოქმებში ინკლუზიური მიდგომის პროგრესის განსაზღვრის საჭიროებებში ამოიკითხება.

**3,უცხოური ენები** - კონკრეტული მაგალითები არ არის წარმოდგენილი დიფერენცირებული / ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური გეგმის მიმართულებით, თუმცა, სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში, მოცემული აქვს კომპლექსური დავალება, რომლებშიც მოსწავლე ცოდნის სამივე კატეგორიის აკუმულირებას ახდენს, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა.

**პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლამ გადმომაგზავნა თემატური მატრიცა (ინგლისურ ენაში), რომელშიც მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც პასუხობს სწავლების დიფერენცირებულ პრინციპებს. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** - სკოლამ გადმომაგზავნა თემატური მატრიცა (ინგლისურ ენაში), რომელშიც მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც პასუხობს სწავლების დიფერენცირებულ პრინციპებს. შესაბამისად, მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, კონკრეტული მიმართულებით ერთობლივად იმუშავონ.

**3.ესთეტიკური აღზრდა -** სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს ინდ გეგმების შედგენის მექანიზმები.

**3.ფიზიკური აღზრდა** - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე: დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ



------------------------
------------------------

შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით. მაგალითად, მასწავლებლები მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე არეგულირებენ დატვირთვის მოცულობასა და ინტენსივობას, ცვლიან სარბენ მანძილს, სირბილის ტემპს და სხვ. სკოლას ყავს სსსმ მოსწავლეები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ საჭიროებს ფიზიკური აღზრდის საგანში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

**ინდიკატორი 2.1.2.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

**4.სახელმწიფო ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი "სასკოლო სასწავლო გეგმის" მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

**4.მათემატიკა** (2.1.2.4-ისთვის)

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-6 კლასის და მე-5 კლასის პირველი სემესტრის, მაგრამ აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით, რადგან იგივე მასწავლებელებმა განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები წარმოადგინეს ზედა საფეხურებზე. გააზრებული აქვთ, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ემსახურება სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. წარმოდგენილი აქვთ თემის შემაჯამებელი რუბრიკა (განმავითარებელი შეფასების 1 რუბრიკა).

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. ამ რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ქვთ მზაობა, რომ რუბრიკებს შექმნიან ყველა თემისთვის დაწყებით საფეხურზე.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი

დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**4.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. შესაბამისად წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკა. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**4.უცხოური ენები** - სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების ზოგადი რუბრიკები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინტერვიუერების შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე, კათედრის წევრები იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

**პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებებზე მორგებული, კონკრეტული, განმავითარებელი შეფასების სქემა. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** – სკოლას წარმოდგენილი არ აქვს კონკრეტული დავალების



------------------------
------------------------

შეფასების სქემები, თუმცა ინგლისური ენის მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები.

**4.ესთეტიკური აღზრდა** - 4. სკოლამ ჯიპრაიდისა და ინტელის, ასევე ახალი სკოლის მოდელის თანამედროვე ინსტრუმენტების გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე შექმნა მოსწავლის განვითარებაზე და მოტივაციაზე მორგებული შეფასების დიზაინი.

4. **ფიზიკური აღზრდა** - დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის საგანში ექვსივე კლასში სტანდარტის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომლებშიც დაწვრილებით გაწერილია მრავალფეროვანი აქტივობების (პრაქტიკული და თეორიული თემების) შეფასების კრიტერიუმები.

**ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში ( იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა).

**5.სახელმწიფო ენა** - გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ

ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

**5.მათემატიკა**

მათემატიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, გამოთქვეს მზაობა რომ კიდევ დაამატებენ რამდენიმე დავალებას საფეხურზე.

**ინდიკატორი 2.1.2.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას. ამავდროულად გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო დეტალურად ჩაუღრმავდნენ აღნიშნულ საკითხს.

**5.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის,



-------------------------
-------------------------

რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება დაწყებითი კომპიუტერული ტექნოლოგიის კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია უწყვეტად კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება.

**5.უცხოური ენები** - ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ მასწავლებლები მუდმივად ეყრდნობიან მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, ანალიზსა და დაკვირვებას. მათ წარმოდგენილი აქვთ „გასასვლელი ბარათი", რომელსაც ხშირად თვითშეფასების მიზნით იყენებნ მოსწავლეები. გარდა ამისა, დაგეგმვა, სპირალური ხასიათისაა, რადგან მიჰყვება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, შესაბამისად გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და გამოცდილება.

ესთეტიკური აღზრდა - 5. სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილება პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებას.

5. **ფიზიკური აღზრდა** - თვითშეფასების კითხვარში და მასწავლებელთა კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა წინა წელს ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს და ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ამ დავალებებით ახერხებდა. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები აანალიზებენ გავლილი სასწავლო წლის გამოცდილებას და უზიარებენ ერთმანეთს კათედრის და პედსაბჭოს სხდომებზე. ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

**ინდიკატორი 2.1.2.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**



------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. . კურიკულუმები
2. პროექტები
3. კომპლექსური დავალებები
4. *სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, საგნობრივი კურიკულუმები, ისგ ჯგუფის ოქმები, ისგ ჯგუფის სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება(დაწყებითი საფეხური)**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



-------------------------

-------------------------

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდას.

**1.სახელმწიფო ენა**- კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედური მიზნები განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების (კათედრის ოქმი, სასკოლო პროექტები) ანალიზის თანახმად, ლოგიკურად იკვეთება მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. მიუთითებენ, რომ ამისთვის დაწყებით საფეხურზე გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

**1.მათემატიკა**

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად წარმოადგინა კურიკულუმი, კომპლექსური დავალების ბარათები, ხოლო ინტერვიუს დროს



------------------------
------------------------

ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებზე, ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ. ეურსი და ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში, კათედრა ამ ყველაფრის აფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** რეკომენდაცია, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, შესაბამისად ვასკვნით, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

**1.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შემუშავებული კურიკულუმებიდან. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად.

**1.უცხოური ენა** - წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა** - წარმოდგენილი თემატური მატრიცის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა ინგლისური ენის სწავლებისას სთავაზობს მრავალფეროვან დავალებებს, რაც ბუნებრივია ხელსუწყობს მათ აქტიურ ჩართულობას. **მეორე უცხოური ენის (რუსული)** - სწავლების ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა კომპლექსური დავლება, კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით მრავალფეროვანია და მოტივაციას იწვევს. კომპლექსური დავალების შესრულება, თავისთავად იწვევს და გულისმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.

1.**ფიზიკური აღზრდა** - სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, რაგბის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, ოლიმპიზმი) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში -თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.

**ინდიკატორი 2.2.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

**2.სახელმწიფო ენა** - მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში.. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. **ინდიკატორი 2.2.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.მათემატიკა**

სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ეს დასტურდება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ანალიზით.

ყველა თემა, რომელიც კომპლექსური დავალებით მუშავდება და რომელიც წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმში, მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები (წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში), ინტერვიუს დროს განხილული მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, როგორიცაა თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება კათერდას სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს მომავალ სასწავლო წელს.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით.

კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - დაწყებითის კათედრაზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

**2.უცხოური ენა** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში შემოთავაზებულ თემატურ ერთეულებს. რაც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ინდიკატორთან. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა (რუსული)** წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**2.ფიზიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ საუბარი არის წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში - თუ რა სასკოლო პროექტები ხორციელდება , რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან, რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.



------------------------
------------------------

**3.სახელმწიფო ენა** - მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

**3.მათემატიკა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ თემის საკვანძო შეკითხვები, სწორედ ესენია სწავლის-სწავლის სტრატეგიებია, ასეთი საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში. ათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას.

ნტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, შეძლებისდაგვარად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**დოკუმენტაციაში ნაწილობრივ წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თვითცნობიერების განვითარებაში.

**3.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - კომპიუტერული ტექნოლოგიის სწავლა–სწავლების მიზნები კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური



------------------------
------------------------

ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. სკოლა საუბრობს მასზე, რომ სტრატეგიების სწავლა კეთებით, მოდელირება, გრაფიკული სისტემები, პროექტული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თითოეული ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ასწავლონ, თუ როგორ შეიმეცნონ ესა თუ ის საგანი. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რომ ორგანიზება გაუკეთოთ თვითსწავლის, ურთიერთსწავლის სხვადასხვა ფორმებს და მეთოდების გაცნობას– შემუშავებას, შექმნან ამ რესურსების ბანკი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას მკაფიოდ გამოიკვეთა.

**3.უცხოური ენა** - პირველი უცხოური ენა (ინგლისური) - და მეორე უცხოური ენა (რუსული) წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემულია თემის შესაბამისი კომლპექსური დავალება. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე აკეთებს დასკვნას, გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დეტალურად თუ რა გზებს გადის მოსწავლე კომპლექსური დავალების შესასრულებლად, ნათლად არ ჩანს. გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** 3. სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

**3. ფიზიკური აღზრდა** - დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი



------------------------
------------------------

ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები, სასკოლო სპორტული ოლიმპიადები).

**ინდიკატორი 2.2.1.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმებში წარმოდგენილ ნიმუშებში განსაზღვრული არის კონტექსტმაგალითები, რაც გარკვეულ კონტექსტებთან მიმართებაში საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, პედაგოგებთან საუბარში ასევე გამოიკვეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების აქცენტები.

**4.სახელმწიფო ენა** - წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული).

**4.მათემატიკა**

კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. სე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ასტურდება ასევე მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით (აღიწერა ინტერვიუს დროს), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (დასამატებელია მე-5, მე-6 კლასებში)

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას

**4.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული.

4.უცხოური ენა - პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა (რუსული) - სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც სჩანს, რომ თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს კომპლექსური დავალება რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შესაბამისობაშია ინდიკატორთან. რადგან თავად კომპლექსური დავალების ბუნებაა ცოდნის სამი კატეგორიის გაერთიანება.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.



------------------------
------------------------

**4. ფიზიკური აღზრდა** - ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

**ინდიკატორი 2.2.1.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

5.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

**5.სახელმწიფო ენა -** გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდბიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

**5.მათემატიკა**

კათედრის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად აქვთ მზაობა, მოაწყონ არაფორმალური,

პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ.

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება.

**5.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - დაწყებით კათედრაზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები, სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

**5.უცხოური ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში (უცხოური ენის მიმართულებით) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა. გარდა ამისა, სკოლა მონაწილეობას იღებს eTwinnig-ის პროექტში, რომელშიც აქტიურად მონაწილებს ინგლისური ენისა და ქართული ენის მასწავლებლები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლებთან) გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, მტკიცდება, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად

კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**5. ფიზიკური აღზრდა** - ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორი 2.2.1.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**(დაწყებითი საფეხური)**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



-------------------------
-------------------------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად.

**1.სახელმწიფო ენა** - თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. განსაკუთრებით, V-VI კლასის შემთხვევაში.

**1.მათემატიკა**

ათედრის მიერ წავლა-სწავლების პროცესში კარგად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექნიზმს) შორის. ეს ჩანს ერთი მხრივ კარაგად დანახულ და გაწერილ საგნობრივ კურიკულუმში, მეორე მხრივ რეალიზებულ კომპლექსური დავალებებში და რეფლექსიაში (განიმარტა ზეპირად ინტერვიუს დროს). სევე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესულებულ დავალებებზე, ასევე საგაკვეთილო აქტივობებზე, რომლებიც გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით. აისახა მოსწვალეთა შეფასების რუბრიკებში.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები-** სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**1.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში კარგად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის.

**1.უცხოური ენა -** გადმოგზავნილი თემატური მატრიცის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებები სრულდება სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლების მიდგომებით, პირველი უცხოური ენა - თემატურ მატრიცაში მოცემული მრავალფეროვანი თვალსაჩინო დავალებების შესრულება სამუშაო პროცესს ამარტივებს და ზრდის მოტივაციას.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით..

**1.ფიზიკური აღზრდა** - სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით



-------------------------
-------------------------

ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის ფილოსოფიიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება არის პრიორიტეტი. კონსტრუქრივისტული სწავლების პრინციპების დანერგვა განიხილება ამ პრორიტეტებთან მიმართებაში.

**2.სახელმწიფო ენა** - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

**2.მათემატიკა** (2.2.2.2 -ისთვის)
კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (ზეპირად განხილული), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე კათედრამ დაასაბუთა რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას").



------------------------
------------------------

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის აღიარებას

**2.საინფორმაციო ტექნოლოგიები-** კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური დანვიტარებუს ხელშეწყობა და ინტერესები

**2.უცხოური ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ნაწილობრივ ჩანს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. **გარდა ამისა,** პირველი უცხოური ენის მასწავლებლებთან ინტერვიუებით გაირკვა რომ სკოლა მოსწავლეებს აღნიშნული მიმართულებით სთავაზობს არაფორმალურ განათლებას, სკოლა ჩართულია e-Twinning პროექტში. აღნიშნულ პროექტში ინგლისურისა და ქართულის მასწავლებელი თანამშრომლობენ აქტიურად.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით:



------------------------
------------------------

კომპლექსური დავალებები,პროექტები, კლუბური მუშაობები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

**2.ფიზიკური აღზრდა** - კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი 2.2.2.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში საუბარია სკოლის მისიის შესახებ, რაც გულისხმობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

**3.სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ *I -IV* კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. *V-VI კლასების მოსწავლეების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშაონ.

**3.მათემატიკა** (2.2.2.3 -ისთვის)

ურიკულუმით, კომპლექსური დავალების ზარათებით, შეფასების რუბრიკებით, ასევე ინტერვიუს საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ მათი შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლები იაზრებენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა შეფასების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით .

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლამ, წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

**3.საინფორმაციო ტექნოლოგიები** - მოსწავლეების შეფასებისას გამოყენებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებას, იკვეთება თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლების პროცესში.

**3.უცხოური ენა** - სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს შეფასების პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. გარდა ამისა, პირველი უცხოური ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების შეფასების სქემა. შეფასების სქემაში გაწერილია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკივიდრი წარმოდგენები, მოსწავლის მოსალოდნელი შედეგები.



-------------------------
-------------------------

**3.ესთეტიკური აღზრდა-** 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე

**3.ფიზიკური აღზრდა** – სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი.

**ინდიკატორი 2.2.2.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

4.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს,რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. თუმცა იგეგმება შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

**4.სახელმწიფო ენა -** დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მართალია, მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა სიტყვიერი

კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით (ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რუბრიკებზე), რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიერების დროსაც დაადასტურეს.

**4.მათემატიკა** -

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს **კურიკულუმი;** მომავალი დაგეგმილი **სასწავლო** პროექტები; ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბოლომდე არ მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა სანდოობა ,ობიექტურობა, თუმცა მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ.

**4.საინფორმაციო ტექნოლოგიები**-სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

**4.უცხოური ენები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გარდა ამისა, უცხოური ენის კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია კლასში, და თითოეულ კომპლექსურ დავალების პირობას თან ახლავს. გარდა ამისა სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის მოვალეებებთაგან ერთ-ერთია აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება;

**4.ესთეტიკური აღზრდა-** 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია.

**4.ფიზიკური აღზრდა** - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. ფიზიკური აღზრდის საგანში მოქმედებს განმავითარებელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება.

**ინდიკატორი 2.2.2.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

5.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა.

**5.სახელმწიფო ენა** - მოცემული დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტების შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი საყრდენია. ვერიფიკაცია წარმოადგენს მოსწავლის მიღწევის ანალიზის. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მშობელთა ჩართულობა შეფასების პროცესების დაგეგმვაში, განხორციელებაში. ასევე ისინი იყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად.

**5.მათემატიკა** სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა.

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ზეპირად უზიარებენ ერთმანეთს, სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.

**5.საინფორმაციო ტექნოლოგიები**სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა.

**5.უცხოური ენები** – სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. აღნიშნული დასაბუთებულია, ქულის ცვლილებასთან დაკავშირებული სემესტრული გამოცდით. სკოლა აღნიშნავს იმასაც, რომ ამ მიმართულებით მას არ ჰქონია გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლა თვითშეფასების კითხვარში ამ მიმართულებით მოიხსენიებს ექსტერნატის გამოცდებს და აღნიშნავს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ხდება საფეხურის ექსტერნის სახით დაძლევის ვადების დამტკიცება. სკოლა, რესურს ცენტრი ახორციელებს ექსტერნის რეგისტრაციას, სკოლაში დგება გამოცდების განრიგი დათქმულ ვადებში, მზადდება საგამოცდო მასალა. გამოცდის შემდეგ ტარდება კომისიის სხდომა, სადაც მტკიცდება შედეგები, რომელიც აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული კრიტერიუმი მეწილად არის დაკმაყოფილებული, რადგან სკოლა გამოხატავს მზაობას თუმცა გამოცდილება არ აქვს ამ მიმართულებით.

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც გულისხმობს გამოცდების შეფასების მონიტორინგს, კათედრაზე შემაჯამებელი წერების ანალიზს.

**5.ფიზიკური აღზრდა** - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტემის შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.2.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**



------------------------
------------------------

**6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**6.სახელმწიფო ენა** - კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა ამ ეტაპზე სკოლა არ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, თუმცა აქვს მზაობა ამ მიმართულებით იმუშაოს და სამომავლოდ აუცილებლად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას და მათ შენახვას დადგენილი ვადით.

**6.მათემატიკა** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**6.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**6.საინფორმაციო ტექნოლოგიები**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**6.უცხოური ენა - თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ** ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და მონაცემთა შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.



------------------------
------------------------

**6.ესთეტიკური აღზრდა-** 6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახებასკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

**6.ფიზიკური აღზრდა** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.2.6 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას(დაწყებითი საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

**1.სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის



-------------------------
-------------------------

სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს.

**მათემატიკა კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.**აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს, დაგეგმილი დავალებები და სხვადასხვა აქტივობა, განხორციელებული პროექტები და სხვა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუდმივად მხარს უჭერენ მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერესიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, სთავაზობენ ალტერნატულ დავალებებს.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში თანამშრომელთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

**1.საინფორმაციო ტექნოლოგიები** საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს, დაგეგმილი დავალებები და სხვადასხვა აქტივობა, განხორციელებული პროექტები და სხვა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუდმივად მხარს უჭერენ მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერესიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, სთავაზობენ ალტერნატულ დავალებებს.

**1უცხოური ენები** - კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც შემდეგში ეს ხელს უწყობს მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობას. აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს, დაგეგმილი დავალებები და სხვადასხვა აქტივობა, განხორციელებული პროექტები და სხვა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუდმივად



------------------------
------------------------

მხარს უჭერენ მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერესიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, სთავაზობენ ალტერნატურ დავალებებს.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** .სასწავლო პროცესში შექმნილია ღია და მომღებლობითი გარემო. ჩატარებული სადამრიგებლო კლასის საათი, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტურებას. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. მიზნით.

**ინდიკატორი 2.2.3.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოწავლეზე ორიენტირებულად. ის ეფუძნება მოსწავლის წინარე გამოცდილების გააქტიურებას. კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები, მათ შორის ციფრული რესურსები.

**2.სახელმწიფო ენა -** შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.
სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო



------------------------
------------------------

გეგმა.მასწავლებლები  ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.

2.**მათემატიკა** -**გასაუბრებისას დადგინდა რომ** სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დამრიგებლის მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიურებისას, პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა მოსწავლეების საჭიროების მიხედვით დახმარებაზე.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს

**2.საინფორმაციო ტექნოლოგიები** სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.  ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში და ყურადღებას ამახვილებენ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებს

**2.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დამრიგებლის მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიურებისას, პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა მოსწავლეების საჭიროების მიხედვით დახმარებაზე.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** 2. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.  ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში და ყურადღება გაამახვილონ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებითა და სწავლების უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით.



-------------------------
-------------------------

ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში,ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.

-

**3.სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მუდმივად ახორციელებენ წარმატებული  გამოცდილების გაზიარებას, გამოიკვეთა, რომ მათ შორის სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ, რაც მეტყველებს თანამშრომლობით კულტურაზე.

**3.მათემატიკა** სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

**3.საინფორმაციო ტექნოლოგიები**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.



------------------------
------------------------

**3.უცხოური ენები** - კათედრასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. კოლეგები დაგეგმვისას მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ხდება არა მხოლოდ კათედრის წევრებს შორის არამედ სხვა კათედრის წევრებს შორის, რაზეც მოწმობს eTwinning-ის პროექტიც.

**ესთეტიკური აღზრდა-** 3. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულებთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

**ინდიკატორი 2.2.3.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემო არსებობა სკოლის და კლასის დონეზე.

**4.სახელმწიფო ენა -** უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**4.მათემატიკა** სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები-** სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**4.საინფორმაციო ტექნოლოგიები**სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**4.უცხოური ენები** - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მასწავლებლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კოლეგების ერთმანეთთან პოზიტიური დამოკიდებულება.

ესთეტიკური აღზრდა-

**ინდიკატორი 2.2.3.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



------------------------
------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება( დაწყებითი საფეხური)

**2.3.1** მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი.

**1.სახელმწიფო ენა** - სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტიდან, ასევე, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვარკვევთ, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

**1.მათემატიკა -** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც ასევე აღნიშნულია თუ როგორ განხორციელდება მონიტორინგი და შეფასება.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ კურიკულუმის მონიტორინგისა დაა შეფასების აუცილებლობას, ისინი აქტიურად გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას.**

**1.საინფორმაციო ტექნოლოგიები-** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხება კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგიას, სკოლას თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული აქვს, რომ ამ მიზნით მასწავლებლები ერთმანეთს მუდმივად ესწრებიან და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს.

**1.უცხოური ენები -** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხება კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგიას, სკოლას თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული აქვს, რომ ამ მიზნით მასწავლებლები ერთმანეთს მუდმივად ესწრებიან და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს. გარდა ამისა, ინტერვიურების დროს დაადასტურეს მასწავლებლების ურთიერთდასწრება და ერთმანეთისთვის გაცემული უკუკავშირის არსებობა. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაწერილი მთელი რიგი ამოცანები. გარდა ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანა „სასკოლო კურიკულუმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა", რაც ირიბად მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგს.

**1.სპორტი** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც ასევე აღნიშნულია თუ როგორ განხორციელდება მონიტორინგი და შეფასება.

**ინდიკატორი 2.3.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მეთოდოლოგიაში ნათქვამია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას.

**2.სახელმწიფო ენა** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

**2.მათემატიკა** მეთოდოლოგიაში ნათქვამია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კურიკულუმებში, როგორც აღვნიშნე შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მომზადოს.

ასევე სსსმ მოსწავლეებს სკოლა შესთავაზებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მათემატიკაში, ამის მზაობა ჩანს ნ.ქ.- ისთვის შედგენილ სხვა საგნის ისგ-ში.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლას ამ დროისთვის აქვს მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლას აქვს შემუშვებული სანიმუშოდ შეფასების რუბრიკები და, მათი განცხადებით, სრულად მომავალში შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს.



-------------------------
-------------------------

**3.უცხოური ენები** - კონკრეტული მაგალითები არ არის წარმოდგენილი დიფერენცირებული / ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური გეგმის მიმართულებით, თუმცა, სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში, მოცემული აქვს კომპლექსური დავალება, რომლებშიც მოსწავლე ცოდნის სამივე კატეგორიის აკუმულირებას ახდენს, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა** - სკოლამ გადმომაგზავნა თემატური მატრიცა (ინგლისურ ენაში), რომელშიც მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებლი აქტივობები, რომლებიც პასუხობს სწავლების დიფერენცირებულ პრინციპებს.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს ინდ გეგმების შედგენის მექანიზმები

**3.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით. მაგალითად, მასწავლებლები მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე არეგულირებენ დავალებებს, დატვირთვას და სხვ. სკოლას ყავს სსსმ მოსწავლეები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ საჭიროებს ფიზიკური აღზრდის საგანში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

**ინდიკატორი 2.1.2.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.



------------------------
------------------------

**4.სახელმწიფო ენა** - საბაზო საფეხურზე არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს მცირე უზუსტობებით, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბეს ხედვა, როგორ ესახებათ განვავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე. რომელიც მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *კათედრას სამუშაო აქვს* განმსაზღვრელი შეფასების კუთხით. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები* ფასდება, *როგორც განმავითარებელი ისე* განმსაზღვრელი შეფასებით. არ არის მითითებული როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს.

**4.მათემატიკა**

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით, წარმოდგენილი აქვთ თემის შემაჯამებელი რუბრიკაც (განმავითარებელი შეფასების 1 რუბრიკა).

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. ამ რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ქვთ მზაობა, რომ რუბრიკებს შექმნიან ყველა თემისთვის საბაზო საფეხურზე.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შემლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**4.უცხოური ენები** - სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების ზოგადი რუბრიკები წარმოდგენილია სასკოლოო სასწავლო გეგმაში. ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე, კათედრის წევრები იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u> **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებებზე მორგებული, კონკრეტული, განმსაზღვრელი შეფასების სქემა. შეფასების სქემაში მოცემულია კონკრეტული ინდიკატორები, (უნარები), რომელიც მოსწავლემ უნდა გამოავლინოს კონკრეტული დავალების შესრულებისას. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** – სკოლას წარმოდგენილი არ აქვს კონკრეტული დავალების შეფასების სქემები, თუმცა ინგლისური ენის მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლამ ჯიპრაიდისა და ინტელის, ასევე ახალი სკოლის მოდელის თანამედროვე ინსტრუმენტების გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე შექმნა მოსწავლის განვითარებაზე და მოტივაციაზე მორგებული შეფასების დიზაინი.



------------------------
------------------------

**4.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის საგანი ფასდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები ფიზიკური თვისებების და ტექნიკური ელემენტების განვითარების მიხედვით.

**ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ.

**5.სახელმწიფო ენა** - გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

**5.მათემატიკა** (2.1.2.5-ისთვის)

მათემატიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან



------------------------
------------------------

ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, გამოთქვეს მზაობა რომ კიდევ დაამატებენ რამდენიმე დავალებას საფეხურზე.

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას. ამავდროულად გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო დეტალურად ჩაუღრმავდნენ აღნიშნულ საკითხს.

**5.უცხოური ენებ**ი - ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ მასწავლებლები მუდმივად ეყრდნობიან მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, ანალიზსა და დაკვირვებას. მათ წარმოდგენილი აქვთ „გასასვლელი ბარათი“, რომელსაც ხშირად თვითშეფასების მიზნით იყენებენ მოსწავლეები. გარდა ამისა, დაგეგმვა, სპირალური ხასიათისაა, რადგან მიჰყვება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, შესაბამისად გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და გამოცდილება.
**5.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილება პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებას.

**5.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები აანალიზებენ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რეფლექსიისთვის

მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით, მაგალითად კითხვარების გაგზავნა მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, შემაჯამებელი დავალების ანალიზი და სხვ. ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

**ინდიკატორი 2.2.2.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.2.კურიკულუმის განხორციელება(საბაზო საფეხური)
**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო

პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდას.

**1.სახელმწიფო ენა** - კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

**1.მათემატიკა** (2.2.1.1-ისთვის)

აბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად წარმოადგინა კურიკულუმი, კომპლექსური დავალების ბარათები, ხოლო ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებზე, ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ. ეურსი და ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში, კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - რეკომენდაცია, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს



------------------------
------------------------

უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, შესაბამისად ვასკვნით, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

**1.უცხოური ენები** - წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

**პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა** - წარმოდგენილი თემატური მატრიცის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა ინგლისური ენის სწავლებისას სთავაზობს მრავალფეროვან დავალებებს, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას. **მეორე უცხოური ენის (რუსული)** - სწავლების ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა კომპლექსური დავლება, კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით მრავალფეროვანია და მოტივაციას იწვევს. კომპლექსური დავალების შესრულება, თავისთავად იწვევს და გულისმოხბს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.



------------------------
------------------------

**1.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ლაშქრობა) და თეორიული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, ოლიმპიზმი) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

**2.სახელმწიფო ენა** - მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში.. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.

**2.მათემატიკა** (2.2.1.2-ისთვის)
სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ეს დასტურდება საბაზო საფეხურის კურიკულუმის ანალიზით.



-------------------------
-------------------------

ყველა თემა, რომელიც კომპლექსური დავალებით მუშავდება და რომელიც წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმში, მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები (წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში), ინტერვიუს დროს განხილული მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, როგორიცაა თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება კათერდას სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს მომავალ სასწავლო წელს.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით.

კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.უცხოური ენები** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში შემოთავაზებულ თემატურ ერთეულებს. რაც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და გამოცდილების გაზიარებით. შესაბამისობაშია ინდიკატორთან. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა (რუსული)** წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად



------------------------
------------------------

კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გზა (სასკოლო ფესტივალამდე მისვლის გზა), რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ საუბარი არის წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში - თუ რა სასკოლო პროექტები ხორციელდება , რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან, რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.

**3.სახელმწიფო ენა** - მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების



------------------------
------------------------

პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

**3.მათემატიკა** (2.2.1.3-ისთვის)
კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ თემის საკვანძო შეკითხვები, სწორედ ესენია სწავლის-სწავლის სტრატეგიებია, ასეთი საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში. ათედრის მიერ საბაზო საფეხურზე მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. ნტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, შეძლებისდაგვარად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**დოკუმენტაციაში ნაწილობრივ წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თვითცნობიერების განვითარებაში.

**3.უცხოური ენები** - პირველი უცხოური ენა (ინგლისური) - და მეორე უცხოური ენა (რუსული) წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემულია თემის შესაბამისი კომლპექსური დავალება. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე აკეთებს დასკვნას, გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ კურიკულუმის ჩარჩოში დეტალურად ნათლად არ ჩანს, თუ რა გზებს გადის მოსწავლე კომპლექსური დავალების შესასრულებლად. თუმცა



------------------------
------------------------

დაწყებით საფეხურზე გაწერილი თემატური მატრიცა ინგლისურ ენაში გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესის, რომ აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ კათედრას ამ მიმართულებით აქვს გამოცდილება და შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

**3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლა-სწავლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. მასწავლებლები იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები, სასკოლო სპორტული ოლიმპიადები).

**ინდიკატორი 2.2.1.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმებში წარმოდგენილ ნიმუშებში განსაზღვრული არის კონტექსტმაგალითები, რაც გარკვეულ კონტექსტებთან მიმართებაში საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, პედაგოგებთან საუბარში ასევე გამოიკვეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების აქცენტები.

**4.სახელმწიფო ენა** - წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)

**4.მათემატიკა** (2.2.1.4-ისთვის)

კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. სე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ასტურდება ასევე მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით (აღიწერა ინტერვიუს დროს), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (დასამატებელია მე-7, მე-8, მე-9 კლასებში)

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას

4. **უცხოური ენა - პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა (რუსული)** - სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც ჩანს, რომ თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს კომპლექსური დავალება რაც საშუალებას გვაძლევს



------------------------
------------------------

ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შესაბამისობაშია ინდიკატორთან. რადგან თავად კომპლექსური დავალების ბუნებაა ცოდნის სამი კატეგორიის გაერთიანება.

**ესთეტიკური აღზრდა**- 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.

**4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

**ინდიკატორი 2.2.1.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

**5.სახელმწიფო ენა** - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდბიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე,

პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

**5.მათემატიკა** (2.2.1.5 -ისთვის)

კათედრის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად აქვთ მზაობა, მოაწყონ არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ.

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება.

**5.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში (უცხოური ენის მიმართულებით) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს მოიყვანეს დაწყებითი საფეხურის მაგალითი და აღნიშნეს, რომ სკოლაში იგეგმებოდა სხვადასხვა საინტერესო აქტივობა. გარდა ამისა, სკოლა მონაწილეობას იღებს eTwinnig-ის პროექტში, რომელშიც აქტიურად მონაწილებს ინგლისური ენისა და ქართული ენის მასწავლებლები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლებთან) გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, მტკიცდება, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია



------------------------
------------------------

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. 2022-2023 საბაზო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ მრავალ აქტივობაში: შიდა სასკოლო კონფერენციაში, შიდა სასკოლო ფესტივალში კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში. ეს ყველა აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.5 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კურიკულუმი

1. **სასწავლო პროექტები**
2. **მდგრადი განვითარების საერთაშორისო კონფერენცია**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.(საბაზო საფეხური)**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.საბუნებისმეტყველო** მეცნიერებები  ათედრის მიერ წავლა-სწავლების პროცესში კარგად არის  გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას),  საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.  ეს ჩანს  ერთი მხრივ კარაგად დანახულ და გაწერილ საგნობრივ კურიკულუმში, მეორე მხრივ რეალიზებულ კომპლექსური დავალებებში და რეფლექსიაში

1.სახელმწიფო ენა - თვითშეფასების და გასაუბრების  ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს,



------------------------
------------------------

ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ, რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.

**1.მათემატიკა** (2.2.2.1 -ისთვის)

ათედრის მიერ წავლა-სწავლების პროცესში კარგად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ეს ჩანს ერთი მხრივ კარაგად დანახულ და გაწერილ საგნობრივ კურიკულუმში, მეორე მხრივ რეალიზებულ კომპლექსური დავალებებში და რეფლექსიაში (განიმარტა ზეპირად ინტერვიუს დროს). სევე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესულებულ დავალებებზე, ასევე საგაკვეთილო აქტივობებზე, რომლებიც გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით. აისახა მოსწვალეთა შეფასების რუბრიკებშიც.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები-** სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**1.უცხოური ენები** - გადმოგზავნილი თემატური მატრიცის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებები სრულდება სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლების მიდგომებით, პირველი უცხოური ენა - თემატურ მატრიცაში მოცემული მრავალფეროვანი თვალსაჩინო დავალებები, რომელთა შესრულება სამუშაო პროცესს ამარტივებს და ზრდის მოტივაციას.

ესთეტიკური აღზრდა- 1.მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

**1.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს

**ინდიკატორი 2.2.2.1. სტანდარტთან სესაბამისია**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**



------------------------
------------------------

**2.სახელმწიფო ენა** - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენლების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

**2.მათემატიკა** (2.2.2.2 -ისთვის)

კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (ზეპირად განხილული), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე კათედრამ დაასაბუთა რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“).

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების

მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის აღიარებას

**2.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ნაწილობრივ ჩანს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. **გარდა ამისა,** პირველი უცხოური ენის მასწავლებლებთან ინტერვიურებით გაირკვა რომ სკოლა მოსწავლეებს აღნიშნული მიმართულებით სთავაზობს არაფორმალურ განათლებას, სკოლა ჩართულია e-Twinning პროექტში. აღნიშნულ პროექტში ინგლისურისა და ქართულის მასწავლებელი თანამშრომლობენ აქტიურად.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები,პროექტები, კლუბური მუშაობები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

**2.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.



-------------------------
-------------------------

ინდიკატორი 2.2.2.2. სტანდარტთან სესაბამისია

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.

**3.სახელმწიფო ენა** - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. VII-XII კლასების მოსწავლეების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. გასაუბრებისას დაწვრილებით გაგვიზიარეს, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშაონ.

**3.მათემატიკა** (2.2.2.3 -ისთვის)

ურიკულუმით, კომპლექსური დავალების ბარათებით, შეფასების რუბრიკებით, ასევე ინტერვიუს საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ მათი შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლები იაზრებენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა შეფასების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით .

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლამ, წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

**3.უცხოური ენები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს შეფასების პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. გარდა ამისა, პირველი უცხოური ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების შეფასების სქემა. შეფასება სქემა ზეპირი პრეზენტაციისაა, შესაბამისად მოიცავს იმ ყველა კრიტერუმს, რომელიც ზეპირი პრეზენტაციისთვისაა საჭირო.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის



------------------------
------------------------

გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე.

**3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას  და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. სკოლას მიეცა რჩევა, გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი.

**ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტთან სესაბამისია**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს კურიკულუმი; მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები; ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

**4.სახელმწიფო ენა** - ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში  ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად  ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების



------------------------
------------------------

რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამავე დროს, მასწავლებლები ხედავენ საჭიროებას, უფრო ხშირად მოახდინონ განმავითარებელი შეფასება ვიდრე განმსაზღვრელი.

**4.მათემატიკა** (2.2.2.4-ისთვის)

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს **კურიკულუმი;** მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები; ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - შეფასების სისტემის ვალიდური, გამჭვირვალე სანდო და ,ობიექტურია რაც მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, ასევე აღნიშნეს,რომ ისინი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ.

**4.უცხოური ენები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გარდა ამისა, უცხოური ენის კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია კლასში, და თითოეულ კომპლექსურ დავალების პირობას თან ახლავს. გარდა ამისა სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის მოვალეობებთაგან ერთ-ერთია აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება;

**4.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია.



-------------------------
-------------------------

**4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. ფიზიკური აღზრდის საგანში მოქმედებს განმავითარებელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტთან სესაბამისია

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

**5.სახელმწიფო ენა** - სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები  მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს.

**5.მათემატიკა** შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექნიზმს. აღნიშნული დასაბუთებულია, ქულის ცვლილებასთან დაკავშირებული სემეტრული გამოცდით. სკოლა აღნიშნავს იმასაც, რომ ამ მიმართულებით მას არ ჰქონია გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლა თვითშეფაების კითხვარში ამ მიმართულებით მოიხსენიებს ექსტერნატის გამოცდებს



-------------------------
-------------------------

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ზეპირად უზიარებენ ერთმანეთს, სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.

**5.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექნიზმს. აღნიშნული დასაბუთებულია, ქულის ცვლილებასთან დაკავშირებული სემეტრული გამოცდით. სკოლა აღნიშნავს იმასაც, რომ ამ მიმაღტულებით მას არ ჰქონია გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლა თვითშეფაების კითვარში ამ მიმართულებით მოიხსენიებს ექსტერნატის გამოცდებს და აღნიშნავს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ხდება საფეხურის ექსტერნის სახით დაძლევის ვადების დამტკიცება. სკოლა, რესურს ცენტრი ახორციელებს ექსტერნის რეგისტრაციას, სკოლაში დგება გამოცდების განრიგი დათქმულ ვადებში, მზადდება საგამოცდო მასალა. გამოცდის შემდეგ ტარდება კომისიის სხდომა, სადაც მტკიცდება შედეგები, რომელიც აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული კრიტერიუმი მეწილად არის დაკმაყოფილებული, რამდგან სკოლა გამოხატავს მზაობას თუმცა გამოცდილება არ აქვს ამ მიმართულებით.

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც გულისხმობს გამოცდების შეფასების მონიტორინგს, კათედრაზე შემაჯამებელი წერების ანალიზს.

**5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტემის შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინდიკატორი შესაბამისობაშია

**ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**



------------------------
------------------------

**6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

**6.სახელმწიფო ენა** - სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს. მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებელთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა.

**6.მათემატიკა** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

**6.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**6.უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ** ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და მონაცემთა შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. თუმცა აღნიშნული მიმართულებით დამადასტურებელი საბუთი არ არიას წარმოდგენილი.

**6.ესთეტიკური აღზრდა-**.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახებასკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

**6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

**ინდიკატორი 2.2.2.6 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას (საბაზო საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



-------------------------
-------------------------

1.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

**1.სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს.

**1.მათემატიკა** მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში თანამშრომელთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

**1.უცხოური ენები -** კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც შემდეგში ეს ხელს უწყობს მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობას. აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს, დაგეგმილი დავალებები და სხვადასხვა აქტივობა, განხორციელებული პროექტები და სხვა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუდმივად მხარს უჭერენ მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერესიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, სთავაზობენ ალტერნატულ დავალებებს.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში შექმნილია ღია და მომღებლობითი გარემო. ჩატარებული სადამრიგებლო კლასის საათი, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტურებას. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. მიზნით.

**ინდიკატორი 2.2.3.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოწავლეზე ორიენტირებულად. ის ეფუძნება მოსწავლის წინარე გამოცდილების გააქტიურებას. კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები, მათ შორის ციფრული რესურსები.

**2.სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.

**2.მათემატიკა-** სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს

**2.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დამრიგებლის მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიურებისას, პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა მოსწავლეების საჭიროების მიხედვით დახმარებაზე.

**2.ესთეტიკური აღზრდა-**. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში და ყურადღება გაამახვილონ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებითა და სწავლების უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით. ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში,ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.

**3.სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

**3.მათემატიკა** კათედრასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. კოლეგები დაგეგმვისას მუდმივად უზიარებენ ერთმნეთს გამოცდილებას.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

**3.უცხოური ენები** - კათედრასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. კოლეგები დაგეგმვისას მუდმივად უზიარებენ ერთმნეთს გამოცდილებას. გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ხდება არა მხოლოდ კათედრის წევრებს შორის არამედ სხვა კათედრის წევრებს შორის, მასწავლებელთა ტანამშორმლობა დადებითად აისახება მოსწავლეების თანამშრომლობაზეც და ხელს უწყობს ამას.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ



------------------------
------------------------

ერთეულებთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

**ინდიკატორი 2.2.3.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემო არსებობა სკოლის და კლასის დონეზე.

**4.სახელმწიფო ენა** - უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. პოზიტიური კლიმატი უზრუნველყოფილია, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**4.მათემატიკა** სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან:

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრი მეცნიერებათა სწავლებისას უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**4.უცხოური ენა** - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კოლეგების ერთმანეთთან პოზიტიური დამოკიდებულება. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ერთმანეთს ინტერვიურების პროცესში, და იხსენებდნენ ერთმანეთის წარმატებებს. აღნიშნული დადებითი დამოკიდებულება ასევე გადადის მოსწავლეებსა და კლასზე.



-------------------------
-------------------------

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**ინდიკატორი 2.2.3.4 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება(საბაზო საფეხური)

2.3.1..მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი.



------------------------
------------------------

1.**სახელმწიფო ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

1.**მათემატიკა** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი.

1.**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ კურიკულუმის მონიტორინგისა დაა შეფასების აუცილებლობას, ისინი აქტიურად გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

1.**უცხოური ენები** - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხება კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგიას, სკოლას თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული აქვს, რომ ამ მიზნით მასწავლებლები ერთმანეთს მუდმივად ესწრებიან და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს. გარდა ამისა, ინტერვიურების დროს დაადასტურეს მასწავლებლების ურთიერთდასწრება და ერთმანეთისთვის გაცემული უკუკავშირის არსებობა. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაწერილი მთელი რიგი ამოცანები. გარდა ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანა „სასკოლო კურიკულუმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა“, რაც ირიბად მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგს.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრის შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება. დაგეგვმა.

**ინდიკატორი 2.3.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მეთოდოლოგიაში ნათქვამია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას.

**2.სახელმწიფო ენა** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.



-------------------------
-------------------------

2.**მათემატიკა** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე,

2.**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

2.**უცხოური ენები** - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხება კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგიას, სკოლას თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული აქვს, რომ ამ მიზნით მასწავლებლები ერთმანეთს მუდმივად ესწრებიან და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს. გარდა ამისა, ინტერვიურების დროს დაადასტურეს მასწავლებლების ურთიერთდასწრება და ერთმანეთისთვის გაცემული უკუკავშირის არსებობა. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაწერილი მთელი რიგი ამოცანები. გარდა ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანა „სასკოლო კურიკულუმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა“, რაც ირიბად მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგს.
2.**ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები, ასევე, კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხარისხი მაღალია, კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ,



------------------------
------------------------

დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

**ინდიკატორი 2.3.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

**3.სახელმწიფო ენა** - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

**3.მათემატიკა** კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგის დროს აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, შემდეგ კი ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლაში კარგად აქვთ გააზრებული, რომ პროცესის მონიტორინგი და შეფასება ნამდვილადააა პრობლემის გადაჭრის გზა.

**3.უცხოური ენები** - კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგის დროს აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, შემდეგ კი ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესს იშვიათად, მაგრამ მაინც ახასიათებს პრობლემების წარმოქმნა. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**ინდიკატორი 2.3.1.3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს(საბაზო საფეხური)

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, წინარე ცოდნის და წარმოდგენების დადგენას, კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების მიხედვით.

1.**სახელმწიფო ენა** - სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების ზოგადი აღწერა, გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ, რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, გეგმავენ, რომ ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, სათანადოდ გამოიყენებენ სამომავლოდ, შეფასებისას.

1.**მათემატიკა** შეფასებისათვის სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, მოსწავლეთა შეფასებისას იყენებნ სხვადასხვა სწყაროებს: დაკვირვებას, თვითშეფასებას და ა.შ.

1.**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებში შემავალ საგნებში შეფასება არ ეყრდნობა

მრავალფეროვან წყაროებს, მაგრამ მასწავლებლები მომავალში ფიქრობენ გაამრავალფეროვნონ შეფასების წყაროები.

1.**უცხოური ენები** - შეფასებისათვის სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, მოსწავლეთა შეფასებისას იყენებნ სხვადასხვა სწყაროებს: დაკვირვებას, თვითშეფასებას და ა.შ.

1.**ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის



------------------------
------------------------

საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.

**ინდიკატორი 2.3.2.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.

**2.სახელმწიფო ენა** - მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების



------------------------
------------------------

თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს.

**2.მათემატიკა** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სწავლებლები შეფასებისას ცდილობენ შეფასება განახორციელონ მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტს იმუშავებენ სამომავლოდ.

**2.უცხოური ენა** – კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, შეფასების დროს იყენებს სხვადასხვა ფორმას, რომლებიც ჰოლისტურ ხასიათს ატარებს და ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. საშუალო საფეხურზე კი მოცემულია განმავითარებელი შეფასების სქემა კონკრეტული კომპლექსური დავალების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, მასწავლებლებს აქვთ შეფასების სქემებზე მუშაობისმზაობა.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინმებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები.



-------------------------
-------------------------

სასწავლო პროცესში მიცემული შეფასება არის ყოვლისმომცველი და ამომწურავია. შეფასება ხდება სისტემატიურად, სკოლაში გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები.

**ინდიკატორი 2.3.2.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ, შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას.

**3.სახელმწიფო ენა** - კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის.

**3.მათემატიკა** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ, შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას.



------------------------
------------------------

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**ამ ეტაპისთვის ნაკლებადაა გამოყენებული შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ, რომ შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

**3.უცხოური ენები** - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შესაფასებლად მონაცემების შეგროვებას ახორციელებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მათზე დაკვირვებით (მოსწავლეთა ჩართულობა, საკლასო სამუშაოების შესრულება, დამოუკიდებლად / წყვილებში / ჯგუფებში მუშაობის უნარი), შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალებების ეროვნული სასწავლო შეფასების ტაქსონომიის შედეგების გათვალისწინებით.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით სკოლა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს როგორიც არის: კითხვარი, ფოკუსჯგუფები. ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც სკოლა ადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე, საგნობირვ კათედრებზე განიხილება მოსწავლეთა შეფასების მონაცემები, შეგროვებული მონაცემებზე დაყრდნობით კი მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა.

**ინდიკატორი 2.3.2.3. სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალიწინებით, თუ რამდენად ახეხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.



------------------------
------------------------

**4.სახელმწიფო ენა** - მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უპირატესობას ანიჭებენ ჰოლისტურ მიდგომას, და ითვალისწინებენ იმ ფაქტორებს, რომ აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა, რადგან მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, ამისთვის კი უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტურუმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. მათი მზაობიდან გამომდინარე, სკოლის მიერ მოწოდებული სხვადასხვა საგნის შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომა. რაც დიდ გავლენას მოახდენს მოსწავლის თვითშეფასებაზე და შედეგზე.

**4.მათემატიკა** მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ მასწავლებლები ცდილობენ შეფასება განახორციელონ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**4.უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრამ ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ისინი ითვალისწინებენ მრავალ ფაქტორს, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა კოგნიტურ / ფიზიკურ და ფსიქო-ემოციური განვითარებაზე და შესაბამისად ხდება კურიკულუმების შემუშავება: მოსწავლეებს მიეწოდებათ დავალებები მათი ინტერესების, შესაძლებლობების (რესურსების)

გათვალისწინებით, რათა მათ საშუალება მიეცეთ მათთვის სასურველი / შესაძლებელი გზებით მიაღწიონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და ეს მიღწევები შეფასდეს რეალურად.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

**ინდიკატორი 2.3.2.4. სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (საბაზო საფეხური )

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** .სასკოლო სასწავლო გეგმის /კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია.



------------------------
------------------------

1.**სახელმწიფო ენა** - სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მასწავლებლები მუდმივად ახდენენ კურიკულუმის განვითარებას სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ამ ეტაპზე არ აქვს სკოლას სასკოლო ცხოვრებაში დანერგილი და სამომავლოდ აპირებს ამის განხორციელებას. გამოთქვამს მზაობას, რომ მონიტორინგს და მის ანალიზს მეტი ადგილი დაეთმოს სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პედაგოგები ახდენენ საკუთარი საქმიანობის ანალიზს, გამოცდილების გაზიარებას, ახდენენ მუშაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკის გაუმჯობესებას. თუმცა, კათედრა ხედავს სამომავლოდ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

1.**მათემატიკა** ამ ეტაპზე სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი.

1.**საზოგადოებრივი მეცნიერებები**მასწავლებლებთან სარეკომენდაციოს საკითხების განხილვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ისინი შექმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს;

1.**უცხოური ენები** - კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრები აქტიურად ესწრებოდნენ გაკვეთილებზე ერთმანეთს და აძლევდნენ უკუკავშირს. აღნიშნული ქმედება, შესაძლებელია ერთ-ერთ იმ ქმედებათაგანი იყოს, რომლებიც ხელს უწყობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას.

1.**ესთეტიკური აღზრდა-**. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი.



------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.4.1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
აქ ჩამოთვლილი საკითხების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

**2.სახელმწიფო ენა** - კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**2.მათემატიკა** მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მასწავლებლები კურიკულუმის გადამუშავებისას დაეყრდნობიან წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



------------------------
------------------------

**2.უცხოური ენები -** კათედრის წარმომადგენლებმა, აღნიშნეს, რომ რეგულარულად იკრიბებიან და განიხილავენ მიმდინარე კურიკულუმს. საჭიროების შემთხვევაში კი, ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და ამაზე დაყრდნობით ურთიერთთანამშრომლობის გზით შექმნიან კურიკულუმებს. კურიკულუმები იქნება მოსწავლეზე და სიღრმისეულ ცოდნაზე ორიენტირებული რომელიც დაგვანახებს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

**ინდიკატორი 2.4.1.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ,

2.კათედრების სხდომის ოქმი N1

3.მშობელთა კრების ოქმები

4.სასკოლო სასწავლო გეგმა.

5.სტრატეგიული განვითარების გეგმა.

6.კურიკულუმები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



-------------------------

-------------------------

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | | |
|---|---|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხური)** | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | | |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | | |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | | |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | | |



-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | V შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| | |

2.1. კურიკულუმის შემუშავება(საშუალო საფეხური)

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



-------------------------
-------------------------

1.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**- სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ნათელია, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**1.სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში მკაფიოდ იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ  რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობაც საკმაოდ გამოხატულია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, კიდევ უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმალურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტ-ნაკლებად გამოკვეთა, ვინ რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.

**1.მათემატიკა** კურიკულუმის შემუშავების მეთოლოგია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასში წარმოდგენილია კურიკულუმი აგების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს თუ როგორ, რაზე დაყდნობით ხდება კურიკულუმის აგება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ნათელია, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

1.უცხოური ენები - **ზოგადი მიმოხილვა** - კურიკულუმის შემუშავების მეთოლოგია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასში წარმოდგენილია კურიკულუმი აგების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს თუ როგორ, რაზე დაყდნობით ხდება კურიკულუმის აგება.

**1.ესთეტიკური აღზრდა -** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ისინი გამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად ადგენენ მოსწავლისა და მშობლის ინტერესებს და მათი უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ ახალ აქტივობებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის ურთიერთობა აუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესებს და თანამშრომლობით კულტურას. მომავალში სკოლას



------------------------
------------------------

აქვს მეტი მზაობა, საგაკვეთილო და კლასგარეშე/არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით, მოსწავლეებს შესთავაზოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, მეტად მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისები.

**1.ფიზიკური აღზრდა** - სკოლას წარმოდგენილია აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის თანახმად კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ყველა მასწავლებელი კათედრასთან შეთანხმებით ადგენს საგნობრივ გეგმას, რომლის შემუშავების პროცესში რთავენ მშობლებს, რაც ასახულია კათედრის და სადამრიგებლო ოქმებში.

**ინდიკატორი 2.1.1.1.სტანდარს შეესაბამება**

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან შულედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უშუალოდ უკავირდება კურიკულუმის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაგეგმვას და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. აქვე საუბარია იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

**1.სახელმწიფო ენა**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან გასაუბრების გათვალისწინებით, მასწავლებლები



-------------------------
-------------------------

ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც.

**1.მათემატიკა** - საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

1.**უცხოური ენები** - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, გამომდინარე იქიდან, რომ ის შექმნილია თითოეული საგნის პედაგოგის მიერ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ დაადასტურა უცხოური ენის მასწავლებელთა გასაუბრებამაც.

**ესთეტიკური აღზრდა** - 2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც სკოლა ადგენს გამოკითხვის შედეგად.



-------------------------
-------------------------

**2. ფიზიკური აღზრდა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს.

**ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტს შესაბამება**

3.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალდური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.

**3.სახელმწიფო ენა**

სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზნები ნიმუშის სახით, რომ პირველადი ავტორიზაციის განაცხადის მომენტში კათედრას ეჩვენებინა თავისი მზაობა, რამდენიმე მასწავლებელმა საუბრისას აღწერა განხორციელებული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ეტაპები და დანარჩენებმაც გამოხატეს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავებენ მსგავსი მეთოდოლოგიით შერჩეული შუალედური მიზნებით.

**3.მათემატიკა** წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალდური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმების შესწავლისას ნათელი გახდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

**3.უცხოური ენები** - აღნიშნული კრიტერიუმის მიმართულებით დოკუმენტებისა და ინტევიურების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ უცხოური ენების (კათედრა აერთიანებს პირველი და მეორე უცხოური ენის მასწავლებლებს) მასწავლებლები ერთობლივ გადაწყვეტილებებს იღებენ. სკოლის სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭო. საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისათვის არის შექმნილი კურიკულუმი. გამონნაკლის წარმოადგენს XI კკლასი, რომელზედაც სასკოლო სასწავლო გეგმაში დასახელებულია სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. ასევე მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მომდევნო საწავლო წლიდან სკოლას აქვს მზაობა იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით ჩაერთონ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოკვეთონ მოსწავლეთა ინტერესები და გამოწვევები სწავლა სწავლების პროცესში. დაგეგმონ და განახორციელონ კომპლექსური დავალებები.



------------------------
------------------------

3. **ფიზიკური აღზრდა** - კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაშიც აქტიურადაა ჩართული დაწყებით საფეხურზე მომუშავე პედაგოგები და ფიზიკური არზრდისა და სპორტის კათედრის წევრები. ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. ყოველივე ეს დასტურდება კათედრის ოქმებით, ინტერვიუთი, სადაც გამოკვეთილია პედაგოგთა ინდივიდუალური ხედვები.

**ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტს შესაბამება**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - აქვე ნათქვამია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, პორტალი ვებგვერდზე, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ყოველივე აღნიშნული კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების საშუალებას იძლევა.

**4.სახელმწიფო ენა**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ იფნორმაცია სასკოლო კურიკულუმის, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ, თუმცა, სასკოლო კურიკულუმი ჯერჯერობით ვერ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების



-------------------------
-------------------------

ერთობლივ, შემოქმედებით პროდუქტს, მაგრამ მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიურ ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

**4.მათემატიკა** სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა საზოგადოებას (მშობლებს ) მუდმივად აწვდის სიახლეებს. გარდა მისა, მშობელს ეგზავნება მოსწავლის კომპლექსური დავალების ბარათი.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების კითხვარიც ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას ხშირად ხდება ხოლმე კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.

**4.უცხოური ენები** სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა საზოგადოებას (მშობლებს ) მუდმივად აწვდის სიახლეებს. გარდა მისა, მშობელს ეგზავნება მოსწავლის კომპლექსური დავალების ბარათი. აღნიშნული ბარათის მაგალითი, მასწავლებლებმა გააცნეს (გადმოუგზავეს) ექსპერტთა ჯგუფს.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ კათედრის შეხვედრებზე და ასევე სოციალური ქსელის გამოყენებით.

**4. ფიზიკური აღზრდა** - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოები ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარება ხდება როგორც კათედრის შეხვედრებზე, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით.



------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტს შესაბამება**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ,

2.კათედრების სხდომის ოქმი N1

3.მშობელთა კრების ოქმები

4.სასკოლო სასწავლო გეგმა.

5.სტრატეგიული განვითარების გეგმა.

6.კურიკულუმები

..........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



------------------------

------------------------

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(საშუალო საფეხური)

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო საწავლო გეგმის/ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების პროცესში - სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ასევე, წლიური პროგრამები / კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების მეშვეობით. სასწავლო თემა კი წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ, ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და საკითხების ურთიერთდკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი კი სწორედ მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურების თანამონაწილეობითი სასწავლო პროცესისკენ არის მიმართული.

**1.სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. ელოდებიან მე-11 კლასის სახელმძღვანელოს, ამიტომაც ამ კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ იყო წარმოდგენილი. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

**1.მათემატიკა** (2.1.2.1-ისთვის)

სკოლის მათემატიკის ***საშუალო საფეხურის*** საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად მათ სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. საშუალო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (უმჯობესია თუ გამოიკვეთება ქვეცნებებიც მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმებშიც, ამ ეტაპზე მე-11 კლასის კურიკულუმი არ აქვთ, ელოდებიან სახელმძღვანელოს), ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, რომელიც მოვითხოვეთ როგორც დამატებითი დოკუმენტაცია და სკოლამ დროულად წარმოადგინა. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და თემის ინტერესები. კურიკულუმი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

1.**უცხოური ენები** - სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში პირველი უცხოური ენა არის ინგლისური. მეორე უცხოური ენა არის რუსული. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი იგეგმება თემატურად. უცხოური ენების კურიიკულუმმების ანალიზისას გამოვლინდა გამოვლინდა გარკვეული თავისებურება, კერძოდ, **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია (წარმოდგენილია მხოლოდ X დაა XII კლასები)ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობილი თემატიკის გათვალისწინებით. შესაბამისად პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას. გამოყენებული კომპლექსური დავალებები (შინაარსი და ფორმა) მოსწავლის ასაკისა და ინტერესის შესაბამისია. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** – საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია მეთორმეტე კლასის კურიკულუმი არასრულად, მასში მოცემულია მხოლოდ თემები და ქვესაკითხები, სკოლას, მასწავლებლებს ეძლევათ რჩევა, გაწერონ მეორე უცხოურის ენის კურულუმი პირველი უცხოური ენის მსგავსად.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი/ები და შეფასების რუბრიკები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მომავალში სკოლას აქვს მზაობა შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეთათვის.



------------------------
------------------------

**1.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისია სტანდარტთან**

2.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიაში და წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება გრძელვადიან მიზნებზე ( სამიზნე ცნებებზე და სტანდარტის შედეგებზე ) ორიენტირებით.

**2.სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას



------------------------
------------------------

და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.

**2.მათემატიკა** (2.1.2.2 - ისთვის)

სკოლის **საშუალო საფეხურის** წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით (გარდა მე-11 კლასისა). ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი საკითხებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს (დაკლასტერებულია ადეკვატურად), კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. რეკომენდაცია გაიცა, რომ სასურველია **დაემატოს ორივე კლასის** კურიკულუმში დამატებითი რესურსები, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის; ასევე მე-12 კლასში დამატოს კომპლექსური დავალებები; **მაგალითები შედარებისთვის** დაემატოს ყველა კლასის ყველა თემას, მიუხედავად იმისა კათედრა აპირებს თუ არა იმ თემის დამუშავებას კომლექსური დავალებით.

კათედრის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით (ბარათები მოგვიანებით, მოთხოვნის შემდეგ წარმოადგინა სკოლამ მე-10 კლასში) და ინტერვიუდან. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით.



------------------------
------------------------

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმები თითოეული საგნისთვის –რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. პედაგოგები გეგმავენ და განახორცილებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის  სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.

**2.უცხოური ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პირველ უცხოურ ენაზეე დაყრდნობით, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **პირველი (ინგლისური) ენის** საგნორბივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები: თემა, ძირითადი საკითხი / საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონკტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების პირობა, სამიზნე ცნებები / ცნებები /ქვესაკითხები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესრები დავალებაზე მუშაობისთვის. **მეორე უცხოური (რუსული)** ენის საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია მხოლოდ თემა და ქვესაკითხები. ამ მიმართულებით კი სკოლას, და მასწავლებელს მიეცა რჩევა, შეავსოს (გაწეროსს) კურიკულუმის ძირითადი და აუცილებელი ნაწილები 9თემა, სამიზნე ცნება, საკითხი / ქვესააკითხი, კომპლექსური დავალების იდეა), რაც სამომავლოდ დაეხმარება მას უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმები, მასში შემავალი კომპლექსური დავალებებით ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლად



------------------------
------------------------

2. **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - საშუალო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

**ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისია სტანდარტთან**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილია ისგ ჯგუფის ოქმები და სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალსწინებულია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაცია.

**3.სახელმწიფო ენა**

სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე, ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები.

**3.მათემატიკა** (2.1.2.3-ისთვის)



------------------------
------------------------

კოლის სასწავლო პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ **საშუალო საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები (მე-10 კლასის) ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას;

კურიკულუმებში, როგორც აღვნიშნე შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მომზადოს.

ასევე სსსმ მოსწავლეებს სკოლა შესთავაზებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მათემატიკაში, ამის მზაობა ჩანს ნ.ქ.- ისთვის შედგენილ სხვა საგნის ისგ-ში.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას ამ დროისთვის აქვს მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლას აქვს შემუშვებული სანიმუშოდ შეფასების რუბრიკები და, მათი განცხადებით, სრულად მომავალში შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს.

**3.უცხოური ენა** - კონკრეტული მაგალითები არ არის წარმოდგენილი დიფერენცირებული / ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური გეგმის მიმართულებით, თუმცა, სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში, მოცემული აქვს კომპლექსური დავალება, რომლებშიც მოსწავლე ცოდნის სამივე კატეგორიის აკუმულირებას ახდენს, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს

დიფერენცირებული მიდგომა. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლამ გადმომაგზავნა თემატური მატრიცა (ინგლისურ ენაში), რომელშიც მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებლი აქტივობები, რომლებიც პასუხობს სწავლების დიფერენცირებულ პრინციპებს. მართალია მატრიცა დაწყებითი საფეხურისაა, ის მაინც გვიჩვენებს იმ გზასა და მიმართულებას თუ როგოორ გეგმავს მასწავლებელი სასწავლო პროცესს.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს ინდ გეგმების შედგენის მექანიზმები

**3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - წარმოდგენილ კურიკულუმებისა და კომპლექსურ დავალებების საფუძველზე ვერ ვადგენ, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს, თუ არა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგრამ, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. სევე, სკოლამ წარმოადგინა მატრიცების მაგალითები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სირთულის ფიზიკური აქტივობები. მის საფუძველზე შეიძლება დავასვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა განახორციელონ დიფერენცირებული მიდგომები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

**ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისია სტანდარტთან**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

**4.სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურზე არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ გააზრებული აქვთ, როგორ ესახებათ განვავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე. რომელიც მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; კათედრას სამუშაო აქვს განმსაზღვრელი შეფასების კუთხით. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნა, რომელის შემუშავებაში ასევე ჩართული იქნება მოსწავლეებიც.

**4.მათემატიკა** (2.1.2.4-ისთვის)

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მე-10 კლასის) ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით, წარმოდგენილი აქვთ თემის შემაჯამებელი რუბრიკაც (განმავითარებელი შეფასების 1 რუბრიკა).

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. ამ რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ქვთ მზაობა, რომ რუბრიკებს შექმნიან ყველა თემისთვის საშუალო საფეხურზე.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება



------------------------
------------------------

საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**4.უცხოური ენები** - სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების ზოგადი რუბრიკები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე, კათედრის წევრები იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებებზე მორგებული, კონკრეტული, განმსაზღვრელი შეფასების სქემა. შეფასების სქემაში მოცემულია კონკრეტული ინდიკატორები, (უნარები), რომელიც მოსწავლემ უნდა გამოავლინოს კონკრეტული დავალების შესრულებისას. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** – სკოლას წარმოდგენილი არ აქვს კონკრეტული დავალების შეფასების სქემები, თუმცა ინგლისური ენის მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლამ ჯიპრაიდისა და ინტელის, ასევე ახალი სკოლის მოდელის თანამედროვე ინსტრუმენტების გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე შექმნა მოსწავლის განვითარებაზე და მოტივაციაზე მორგებული შეფასების დიზაინი.

4. **ფიზიკური არზრდა და სპორტი** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განმავითარებელ სიტყვიერ შეფასებას, მაგრამ სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომლებიც მომავალში საჭიროებს განვითარებას და დახვეწას.



------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისია სტანდარტთან**

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში ( იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა).

**5.სახელმწიფო ენა**

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

**5.მათემატიკა** (2.1.2.5-ისთვის)

მათემატიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში უკვე არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით რევიზიას კვლავ გაუკეთებენ არსებულ კურიკულუმს და აქვთ მზაობა დახვეწონ იგი.



-------------------------
-------------------------

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას. ამავდროულად გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო დეტალურად ჩაუღრმავდნენ აღნიშნულ საკითხს.

**5.უცხოური ენა** - ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ მასწავლებლები მუდმივად ეყრდნობიან მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, ანალიზსა და დაკვირვებას. მათ წარმოდგენილი აქვთ „გასასვლელი ბარათი“, რომელსაც ხშირად თვითშეფასების მიზნით იყენებენ მოსწავლეები. გარდა ამისა, დაგეგმვა, სპირალური ხასიათისაა, რადგან მიჰყვება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, შესაბამისად გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და გამოცდილება.

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილება პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებასვ

5. **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - მასწავლებლები ანალიზებენ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული განოცდელება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

**ინდიკატორი 2.1.2.5.სტანდარტს შეესაბამება**

მტკიცებულებები:

*სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, საგნობრივი კურიკულუმები, ისგ ჯგუფის ოქმები, ისგ ჯგუფის სამოქმედო გეგმა*

2.2... კურიკულუმის განხორციელება(საშუალო საფეხური)

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდას.

**1.სახელმწიფო ენა**

კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

**1.მათემატიკა** (2.2.1.1-ისთვის)

საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად წარმოადგინა კურიკულუმი, კომპლექსური დავალების ბარათები, ხოლო ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებზე, ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ. ეურსი და ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში, კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები**რეკომენდაცია, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, შესაბამისად ვასკვნით, რომ

კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

**1.უცხოური ენები** - წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა** - წარმოდგენილი თემატური მატრიცის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა ინგლისური ენის სწავლებისას სთავაზობს მრავალფეროვან დავალებებს, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას. **მეორე უცხოური ენის (რუსული)** - სწავლების ფარგლებში, ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა შინაარსის კომპლექსურ დავალებას. ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესს. თუმცა გადმოგზავნილი კურიკულუმი (მეორე  უცხოური ენის მმიმართებით) ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა. შესაბამისად მასწავლებელს მიეცა რჩევა, გაწეროს კურიკულუმში აუცილებელი და  სარეკომენდაციო ველები, მაგალითები და რესურსები,  რაც თვითონ მას დაეხმარება მომავალში დიფერენცირებულადა წარმართოს სასწავლო პროცესი.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში  უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.

1. **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.1.1.სტანდარტს შეესაბამება**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

**2.სახელმწიფო ენა**

მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში.. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.

**2.მათემატიკა** (2.2.1.2-ისთვის)

სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ეს დასტურდება სშუალო საფეხურის კურიკულუმის ანალიზით.

ყველა თემა, რომელიც კომპლექსური დავალებით მუშავდება და რომელიც წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმში, მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. თემა, თემის საკვანძო შეკითხვები (წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში, მხოლოდ მე-10 კლასისთვის, დაამატებენ მე-11 და მე-12 საც სანამ დაიწყება ახალი სასწავლო წელი), ინტერვიუს დროს განხილული მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, სასკოლო პროექტების ინიცირების



------------------------
------------------------

წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, როგორიცაა თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება კათერდას სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს მომავალ სასწავლო წელს.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.უცხოური ენები** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში შემოთავაზებულ თემატურ ერთეულებს. რაც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და გამოცდილების გაზიარებით. <u>შესაბამისობაშია ინდიკატორთან</u>. **პირველი უცხოური ენა (ინგლისური) და მეორე უცხოური ენა (რუსული)** წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კურიკულუმებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ასევე, ეს ჩანს კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება.

**ინდიკატორი 2.2.1.2.სტანდარტს შეესაბამება**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ საუბარი არის წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში - თუ რა სასკოლო პროექტები ხორციელდება , რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან, რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.

**3.სახელმწიფო ენა**

მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

**3.მათემატიკა** (2.2.1.3-ისთვის)

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ თემის საკვანძო შეკითხვები, სწორედ ესენია სწავლის-სწავლის სტრატეგიებია, ასეთი საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში. ათედრის მიერ საბაზო საფეხურზე მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. ნტერვიუს დროს



------------------------
------------------------

გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, შეძლებისდაგვარად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**

**3.უცხოური ენა** - პირველი უცხოური ენა (ინგლისური) - წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემულია თემის შესაბამისი კომლპექსური დავალება. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე აკეთებს დასკვნას, გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ კურიკულუმის ჩარჩოში დეტალურად ნათლად არ ჩანს, თუ რა გზებს გადის მოსწავლე კომპლექსური დავალების შესასრულებლად. თუმცა დაწყებით საფეხურზე გაწერილი თემატური მატრიცა ინგლისურ ენაში გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესის, რომ აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ კათედრას ამ მიმართულებით აქვს გამოცდილება და შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **მეორე უცხოური ენა (რუსული)** - ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ პირველი და უცხოური ენების მასწავლებლები ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მეორე უცხოური ენის მასწავლებელი ანალოგიურად ქმნის და მოსწავლეებთან ერთად მუშაობს კომპლექსურ დავალებებზე.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

**3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები



------------------------
------------------------

ჩართული არიან ისეთ აქტივობებში (მაგ., სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ლაშქრობებში), რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორი 2.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმებში წარმოდგენილ ნიმუშებში განსაზღვრული არის კონტექსტმაგალითები, რაც გარკვეულ კონტექსტებთან მიმართებაში საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, პედაგოგებთან საუბარში ასევე გამოიკვეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების აქცენტები.

**4.სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). პედაგოგებთან საუბარში ასევე გამოიკვეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების აქცენტები.

**4.მათემატიკა** (2.2.1.4-ისთვის)

კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. სე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ასტურდება ასევე მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით



------------------------
------------------------

(აღიწერა ინტერვიუს დროს), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (დასამატებელია მე-10, მე-12 კლასებში)

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები**დოკუმენტაციაში ნაწილობრივ წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თვითცნობიერების განვითარებაში.

**4.უცხოური ენა - პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** - სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც ჩანს, რომ თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს კომპლექსური დავალება რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შესაბამისობაშია ინდიკატორთან. რადგან თავად კომპლექსური დავალების ბუნებაა ცოდნის სამი კატეგორიის გაერთიანება. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოური ენის მასწავლებლის კატეგორია არ განისაზღვრება დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლად, სკოლაში ერთი მასწავლებელი ასწავლის სამივე საფეხურზე. მეორე უცხოურ ენაში დაწყებით და საბაზო საფეხურზე შექმნილია ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გადის, მასწავლებელს მიეცა რჩევა ანალოგიური პრინციპით გაწეროს მესამე (საშუალო საფეხურის დავალებები0, რომლებშიც მოაზრებული იქნება ცოდნის სამი კატეგორია.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.



------------------------
------------------------

**4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ ეს ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

**ინდიკატორი 2.2.1.4.სტანდარტს შეესაბამება**

**5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

**5.სახელმწიფო ენა**

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდბიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

**5.მათემატიკა** (2.2.1.5 -ისთვის)

კათედრის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად აქვთ მზაობა, მოაწყონ არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ.



------------------------
------------------------

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას .

**5.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში (უცხოური ენის მიმართულებით) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, **პირველი უცხოური ენა (ინგლისური)** მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს მოიყვანეს დაწყებითი საფეხურის მაგალითი და აღნიშნეს, რომ სკოლაში იგეგმებოდა სხვადასხვა საინტერესო აქტივობა. გარდა ამისა, სკოლა მონაწილეობას იღებს eTwinnig-ის პროექტში, რომელშიც აქტიურად მონაწილეებს ინგლისური ენისა და ქართული ენის მასწავლებლები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლებთან) გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, მტკიცდება, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა,

უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

**5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუირების დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.1.5.სტანდარტს შეესაბამება**

მტკიცებულებები:

*სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმები, პედაგოგებთან ინტერვიუ*

.საჯარო სკოლის კურიკულუმი;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.( საშუალო საფეხური)**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



------------------------
------------------------

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად.

**1.სახელმწიფო ენა**

მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ, რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საშუალო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.



-------------------------
-------------------------

**1.მათემატიკა** (2.2.2.1 -ისთვის)

კათედრის მიერ წავლა-სწავლების პროცესში კარგად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ეს ჩანს ერთი მხრივ კარაგად დანახულ და გაწერილ საგნობრივ კურიკულუმში, მეორე მხრივ რეალიზებულ კომპლექსური დავალებებში და რეფლექსიაში (განიმარტა ზეპირად ინტერვიუს დროს). სევე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესულებულ დავალებებზე, ასევე საგაკვეთილო აქტივობებზე, რომლებიც გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით. აისახა მოსწვალეთა შეფასების რუბრიკებშიც.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები**

**1.უცხოური ენა -** გადმოგზავნილი თემატური მატრიცის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებები სრულდება სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლების მიდგომებით, პირველი უცხოური ენა - თემატურ მატრიცაში მოცემული მრავალფეროვანი თვალსაჩინო დავალებები, რომელთა შესრულება სამუშაო პროცესს ამარტივებს და ზრდის მოტივაციას.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების

პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით..

**1.ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

**ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტთან შესაბამისია**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის ფილოსოფიიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება არის პრიორიტეტი. კონსტრუქრივისტული სწავლების პრინციპების დანერგვა განიხილება ამ პრორიტეტებთან მიმართებაში.

**2.სახელმწიფო ენა**

საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესზას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი,აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში.

**2.მათემატიკა** (2.2.2.2 -ისთვის)

კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (ზეპირად განხილული), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე კათედრამ დაასაბუთა რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას").

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები**

**2.უცხოური ენა** - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ნაწილობრივ ჩანს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. **გარდა ამისა,** პირველი უცხოური ენის მასწავლებლებთან ინტერვიურებით გაირკვა რომ სკოლა მოსწავლეებს აღნიშნული მიმართულებით სთავაზობს არაფორმალურ განათლებას, სკოლა ჩართულია e-Twinning პროექტში. აღნიშნულ პროექტში ინგლისურისა და ქართულის მასწავლებელი თანამშრომლობენ აქტიურად.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები,პროექტები, კლუბური მუშაობები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

**2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, აქტივობები, შეფასების



------------------------
------------------------

რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითკონტროლი, ემოციების მართვა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა.

**ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარტთან შესაბამისისია**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში საუბარია სკოლის მისიის შესახებ, რაც გულისხმობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

**3.სახელმწიფო ენა**

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საშუალო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *ბუნდოვანი დარჩა* განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლეების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ.

**3.მათემატიკა** (2.2.2.3 -ისთვის)

კურიკულუმით, კომპლექსური დავალების ბარათებით, შეფასების რუბრიკებით, ასევე ინტერვიუს საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ მათი შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლები იაზრებენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა შეფასების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით .

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლამ, წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

**3.უცხოური ენა** - სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს შეფასების პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. გარდა ამისა, პირველი უცხოური ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების შეფასების სქემა. შეფასება სქემა ზეპირი პრეზენტაციისაა, შესაბამისად მოიცავს იმ ყველა კრიტერუმს, რომელიც ზეპირი პრეზენტაციის შესაფასებლად არის აუცილებელი

**3.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების



------------------------
------------------------

სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე.

**3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის სკოლას მიეცა რჩევა, გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი.

**ინდიკატორი 2.2.2.3 სტანდარტთან შესაბამისია**

4.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს,რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. თუმცა იგეგმება შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

**4.სახელმწიფო ენა**

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, მოსწავლის წინსვლის საშუალებად ძირითადად მოიაზრება განმავითარებელი შეფასება. შეფასების რუბრიკები



------------------------
------------------------

ცნობილია მშობლებისთვისაც. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების მნისვნელოვანი გამოცდილება ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც მასწავლებელთან გასაუბრების შედეგებიდანაც გამოიკვეთა.

**4.მათემატიკა** (2.2.2.4-ისთვის)

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს **კურიკულუმი;** მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები; ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბოლომდე არ მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა სანდოობა ,ობიექტურობა, თუმცა მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ.

**4.უცხოური ენები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გარდა ამისა, უცხოური ენის კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია კლასში, და თითოეულ კომპლექსურ დავალების პირობას თან ახლავს. გარდა ამისა სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის მოვალეობებთაგან ერთ-ერთია აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება;

**4.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია.

**4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. ფიზიკური აღზრდის საგანში მოქმედებს განმავითარებელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება.

**ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტთან შესაბამისია**

5.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა.

**5.სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის შესაბამისად, სკოლას დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტების შექმნაზე, ისინი იყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად. სკოლას სჭირდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და როგორც თავად აღნიშნავენ, სამომავლოდ გეგმავენ შეფასების სისტემის ვერაფიკაციის მდგრადი მექანიზმის შექმნას.

**5.მათემატიკა** სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც გულისხმობს გამოცდების შეფასების მონიტორინგს, კათედრაზე შემაჯამებელი წერების ანალიზს.

**5.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ეპირად უზიარებენ ერთმანეთს, სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.

**5.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექნიზმს. აღნიშნული დასაბუთებულია, ქულის ცვლილებასთან დაკავშირებული სემეტრული გამოცდით. სკოლა აღნიშნავს იმასაც, რომ ამ მიმაღტულებით მას არ ჰქონია გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლა თვითშეფაების კითვარში ამ მიმართულებით მოიხსენიებს ექსტერნატის გამოცდებს და აღნიშნავს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ხდება



------------------------
------------------------

საფეხურის ექსტერნის სახით დაძლევის ვადების დამტკიცება. სკოლა, რესურს ცენტრი ახორციელებს ექსტერნის რეგისტრაციას, სკოლაში დგება გამოცდების განრიგი დათქმულ ვადებში, მზადდება საგამოცდო მასალა. გამოცდის შემდეგ ტარდება კომისიის სხდომა, სადაც მტკიცდება შედეგები, რომელიც აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული კრიტერიუმი მეწილად არის დაკმაყოფილებული, რადგან სკოლა გამოხატავს მზაობას თუმცა გამოცდილება არ აქვს ამ მიმართულებით.

**5.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც გულისხმობს გამოცდების შეფასების მონიტორინგს, კათედრაზე შემაჯამებელი წერების ანალიზს.

**5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტემის შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი **2.2.2.5** სტანდარტთან შესაბამისია

**6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**6.სახელმწიფო ენა**

სკოლაში გამოიყენება შეფასების განმსაზღვრელი პირველი მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს. მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის

განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. ამ ეტაპზე ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას და მათ შენახვას დადგენილი ვადით.

**6.მათემატიკა** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახებასკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

**6.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**6.უცხოური ენები** - თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და მონაცემთა შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. თუმცა აღნიშნული მიმართულებით დამადასტურებელი საბუთი არ არიას წარმოდგენილი.

**6.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახებასკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

**6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი **2.2.2.6** სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

. 1.კურიკულუმები
2.შეფასების რუბრიკები
3.ითვინინგის დაფა
4.კომპლექსური დავალებები
5.*კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმები, სკოლის ფილოსოფია, საგნობრივი ოქმები*

................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას (საშუალო საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.



-------------------------
-------------------------

**1.სახელმწიფო ენა**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს, რაც თავის მხრივ, სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფს.

1.მათემატიკა

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

**1.უცხოური ენები** - კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც შემდეგში ეს ხელს უწყობს მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობას. აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს, დაგეგმილი დავალებები და სხვადასხვა აქტივობა, განხორციელებული პროექტები და სხვა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუდმივად მხარს უჭერენ მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერესიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, სთავაზობენ ალტერნატულ დავალებებს.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** .სასწავლო პროცესში შექმნილია ღია და მომღებლობითი გარემო. ჩატარებული სადამრიგებლო კლასის საათი, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტურებას. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. მიზნით.



-------------------------
-------------------------

ინდიკატორი **2.3.1.1** სტანდარტთან შესაბამისია

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოწავლეზე ორიენტირებულად. ის ეფუძნება მოსწავლის წინარე გამოცდილების გააქტიურებას. კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები, მათ შორის ციფრული რესურსები.

**2.სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუები, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის სახელმწიფო ენის კათედრა 2023-2024 წელს გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას, ასევე განმავითარებელი უკუკავშირის კომპონენტის გაძლიერება მიაჩნია მიზანშეწონილად და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის აუცილებლობა. ყოველივე ამის გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**2.მათემატიკა** სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დამრიგებლის მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლაში თანამშრომელთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.



-------------------------
-------------------------

**2.უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დამრიგებლის მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიურებისას, პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა მოსწავლეების საჭიროების მიხედვით დახმარებაზე.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში და ყურადღება გაამახვილონ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებითა და სწავლების უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით. ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში,ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე.

**ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისია**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.

**3.სახელმწიფო ენა**

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან

ერთმანეთს, ასევე, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში. სამომავლოდ გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდეს თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

**3.მათემატიკა** სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში

მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების

პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს

**3.უცხოური ენა** - კათედრასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. კოლეგები დაგეგმვისას მუდმივად უზიარებენ ერთმნეთს გამოცდილებას. გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ხდება არა მხოლოდ კათედრის წევრებს შორის არამედ სხვა კათედრის წევრებს შორის, მასწავლებელთა ტანამშორმლობა დადებითად აისახება მოსწავლეების თანამშრომლობაზეც და ხელს უწყობს ამას.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულებთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

**ინდიკატორი 2.2..1.3. სტანდარტთან შესაბამისია**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემო არსებობა სკოლის და კლასის დონეზე.

**4.სახელმწიფო ენა**

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი - უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.

**4.მათემატიკა** სკოლაში საზოგადოებრი მეცნიერებათა სწავლებისას უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრი მეცნიერებათა სწავლებისას უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**4.უცხოური ენა** - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კოლეგების ერთმანეთთან პოზიტიური დამოკიდებულება. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ერთმანეთს ინტერვიურების პროცესში, და იხსენებდნენ ერთმანეთის წარმატებებს. აღნიშნული დადებითი დამოკიდებულება ასევე გადადის მოსწავლეებსა და კლასზე.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და



------------------------
------------------------

რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

**ინდიკატორი 2.2..1.4. სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, საგნობრივი კურიკულუმები*

. 1.კურიკულუმები.
2.დამრიგებლის ჩანაწერი.
3.კლსის საათი რეფლექსია.
4.კლასის საათი-ოქმი.
5.სადამრიგებლო პროფრამა მე-6 კლასი.
6.მშობელთა ჩართულობა.
7. კლასის საათის

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება( საშუალო საფეხური)

**2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი.

**1.სახელმწიფო ენა**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება საგნობრივი კათედრების ჩართულობით, დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

1.მათემატიკა

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

**1.უცხოური ენები** - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია, აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხება კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგიას, სკოლას თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული აქვს, რომ ამ მიზნით მასწავლებლები ერთმანეთს მუდმივად ესწრებიან და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს. გარდა ამისა, ინტერვიურების დროს დაადასტურეს მასწავლებლების ურთიერთდასწრებისაა და ერთმანეთისთვის გაცემული უკუკავშირის არსებობა. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაწერილი მთელი რიგი ამოცანები. გარდა ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანა „სასკოლო კურიკულუმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა“, რაც ირიბად მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგს.



-------------------------
-------------------------

**1.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრის შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება. დაგეგვმა.

**ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარტს შეესაბამება**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მეთოდოლოგიაში ნათქვამია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას.

**2.სახელმწიფო ენა**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი  ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

**2.მათემატიკა** სკოლაში  სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

**2.უცხოური ენები** - სკოლას თვითშეფასების კითხვარში აანალიზებს ამ კრიტერიუმის ამჟამინდელი მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ კათედრის წევრებს აქვთ თანამშრომლობითი დამოკიდებულება, რაც ინტერვიურებისასაც გამოიკვეთა. ისინი რეგულარულად ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს და ერთად გეგმავენ აქტივობებს. მხარდაჭერის დასტურია კოლეგების პოზიტიური ურთერთდამოკიდებულება ინტერვიუს პერიოდში.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები, ასევე, კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხარისხი მაღალია, კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

**ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება**

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.



------------------------
------------------------

**3.სახელმწიფო ენა**

კათედრებისა მიერ ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. ჩანს, რომ ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

**3.მათემატიკა** მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები**

**3.უცხოური ენები** - კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგის დროს აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, შემდეგ კი ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** სასწავლო პროცესს იშვიათად, მაგრამ მაინც ახასიათებს პრობლემების წარმოქმნა. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.კურიკულუმები*

*2.კათედრის სხდომის ოქმი-2*

*3. .კათედრის სხდომის ოქმი-3*

*4.მშობელთა ინდივიდუალური შეხვერები-მე-3 კლასი*

*5.საკუთარი პრაქტიკის გაზიარება.*

*6. სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს (საშუალო საფეხური)

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე: შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, წინარე ცოდნის და წარმოდგენების დადგენას, კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების მიხედვით.



-------------------------
-------------------------

**1.სახელმწიფო ენა**

გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში შეფასება ხორციელდება შეფასების სხვადასხვა ფორმით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი უკუკავშირი ) სკოლა ასევე გეგმავს 2023-2024 წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვას.

**1.მათემატიკა** შეფასებისათვის სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, მოსწავლეთა შეფასებისას იყენებნ სხვადასხვა სწყაროებს: დაკვირვებას, თვითშეფასებას და ა.შ.

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებში შემავალ საგნებში შეფასება არ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მაგრამ მასწავლებლები მომავალში ფიქრობენ გაამრავალფეროვნონ შეფასების წყაროები.

1.**უცხოური ენები** - შეფასებისათვის სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, მოსწავლეთა შეფასებისას იყენებნ სხვადასხვა სწყაროებს: დაკვირვებას, თვითშეფასებას და ა.შ.

**1.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ



------------------------
------------------------

პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.

**ინდიკატორი 2.3.2.1 სტანდარტს შეესაბამება**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე:

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.

**2.სახელმწიფო ენა**

მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას შეფასების დროს გაითვალისწინონ მრავალი კონტექსტი და ფაქტორები, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და მათთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა შეფასებას სკოლა განახორციელებს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, სუსტ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა, მათი საჭიროებისდა მიხედვით დავალების შესრულებისას ალტერნატიული გზების შეთავაზება. სკოლა გამოთქვამს მზაობას მოახდინოს იმ სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე



------------------------
------------------------

ახდენს გავლენას. ამ მხრივ კი, მასწავლებლები ხედავენ საჭიროებას განმავითარებელი შეფასების მეტად გამოყენებას პრაქტიკაში.

**2.მათემატიკა საზოგადოებრივი მეცნიერებები -** მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ შეფასება განახორციელონ მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტს იმუშავებენ სამომავლოდ.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები -** მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ შეფასება განახორციელონ მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტს იმუშავებენ სამომავლოდ.

**2.უცხოური ენა** - კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, შეფასების დროს იყენებს სხვადასხვა ფორმას, რომლებიც ჰოლისტურ ხასიათს ატარებს და ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. საშუალო საფეხურზე კი მოცემულია განმავითარებელი შეფასების სქემა კონკრეტული კომპლექსური დავალების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, მასწავლებლებს აქვთ შეფასების სქემებზე მუშაობისმზაობა.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინმებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები. სასწავლო პროცესში მიცემული შეფასება არის ყოვლისმომცველი და ამომწურავია. შეფასება ხდება სისტემატიურად, სკოლაში გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები.

**ინდიკატორი 2.3.2.2 სტანდარტს შეესაბამება**



------------------------
------------------------

**3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე:

შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ, შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას.

**3.სახელმწიფო ენა**

კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეფექტური ინსტრუმენტებით. იმედოვნებენ, დიაგნოსტირების ინსტრუმენტი და მეთოდოლოგია იქნება მორგებული მათი კათედრის მუშაობასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე..

**3.მათემატიკა** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე:

შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ, შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას.

**3.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ამ ეტაპისთვის ნაკლებადაა გამოყენებული შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ, რომ შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

**3.უცხოური ენები** - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შესაფასებლად მონაცემების შეგროვებას ახორციელებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მათზე დაკვირვებით (მოსწავლეთა ჩართულობა, საკლასო სამუშაოების შესრულება, დამოუკიდებლად / წყვილებში / ჯგუფებში მუშაობის უნარი), შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალებების ეროვნული სასწავლო შეფასების ტაქსონომიის შედეგების გათვალისწინებით.

**3.ესთეტიკური აღზრდა-** კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით სკოლა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს როგორიც არის: კითხვარი, ფოკუსჯგუფები. ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც სკოლა ადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე, საგნობირვ კათედრებზე განიხილება მოსწავლეთა შეფასების მონაცემები, შეგროვებული მონაცემებზე დაყრდნობით კი მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა.

**ინდიკატორი 2.3.2.3 სტანდარტს შეესაბამება**

**4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია შემდეგზე:

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალიწინებით, თუ რამდენად ახეხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.



------------------------
------------------------

**4.სახელმწიფო ენა**

მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, **უპირატესობას ანიჭებენ ჰოლისტურ მიდგომას,** შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. თანხმდებიან იმაზე, რომ უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შემუშავებული შეფასების რუბრიკების დროს გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომა.

**4.მათემატიკა საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ მასწავლებლები ცდილობენ შეფასება განახორციელონ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**4.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ მასწავლებლები ცდილობენ შეფასება განახორციელონ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**4.უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრამ ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ისინი ითვალისწინებენ მრავალ ფაქტორს, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა კოგნიტურ / ფიზიკურ და ფსიქო-ემოციური განვითარებაზე და შესაბამისად ხდება კურიკულუმების შემუშავება: მოსწავლეებს მიეწოდებათ დავალებები მათი ინტერესების, შესაძლებლობების (რესურსების) გათვალისწინებით, რათა მათ საშუალება მიეცეთ მათთვის სასურველი / შესაძლებელი გზებით მიაღწიონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და ეს მიღწევები შეფასდეს რეალურად.

**4.ესთეტიკური აღზრდა-** შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის



------------------------
------------------------

ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

**ინდიკატორი 2.3.2.4 სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*

1.კურიკულუმები
2.დიაგნოსტიკური ტესტირება
3.ტაქსონომიის ცხრილი
................................................................................................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (საშუალო საფეხური)



------------------------
------------------------

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** .სასკოლო სასწავლო გეგმის /კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია.

**1.სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდება კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამაშრომლობენ ერთმანეთან კურიკულუმის შემუშავებისა და გადამუშავების ნაწილში, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება.

**1.მათემატიკა** კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრები აქტიურად ესწრებოდნენ გაკვეთილებზე ერთმანეთს და აძლევდნენ უკუკავშირს.



------------------------
------------------------

**1.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მასწავლებლებთან სარეკომენდაციოს საკითხების განხილვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ისინი შექმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს;

1.**უცხოური ენები** - კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრები აქტიურად ესწრებოდნენ გაკვეთილებზე ერთმანეთს და აძლევდნენ უკუკავშირს. აღნიშნული ქმედება, შესაძლებელია ერთ-ერთ იმ ქმედებათაგანი იყოს, რომლებიც ხელს უწყობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას

**1.ესთეტიკური აღზრდა-**. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი.

**ინდიკატორი 2.4.1.1 სტანდარტს შეესაბამება**

**2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
აქ ჩამოთვლილი საკითხების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

**2.სახელმწიფო ენა**



------------------------
------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შემდეგ, გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას და კურიკულუმის აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით გადამუშავებას.

**2.მათემატიკა** - მასწავლებლები კურიკულუმის გადამუშავებისას დაეყრდნობიან წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**2.საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მასწავლებლები კურიკულუმის გადამუშავებისას დაეყრდნობიან წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**2.უცხოური ენები** - კათედრის წარმომადგენლებმა, აღნიშნეს, რომ რეგულარულად იკრიბებიან და განიხილავენ მიმდინარე კურიკულუმს. საჭიროების შემთხვევაში კი, ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები.

**2.ესთეტიკური აღზრდა-** მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და ამაზე დაყრდნობით ურთიერთთანამშრომლობის გზით შექმნიან კურიკულუმებს. კურიკულუმები იქნება მოსწავლეზე და სიღრმისეულ ცოდნაზე ორიენტირებული რომელიც დაგვანახებს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

**ინდიკატორი 2.4.1.2 სტანდარტს შეესაბამება**



------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სასკოლო სასწავლო გეგმის /კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია*

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 30 ფაილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თარიღი 5.09.2023წ



-------------------------

-------------------------